პროლეტარებო, ერთიანდით, ერთიანდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

პარასკევი, 16 სექტემბერი, 1949 წ. № 184 (8487). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

კაპიტალიზმის ქვეყნები მზარდ წინააღმდეგობათა მარწუხში — „პრავდის“ 15-IX მოწინავე (1-ლი გვერდი).

პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).

დ. დელოვი — როგორ მოვაწყოთ მეცადინეობა თემაზე „როგორ ცხოვრობდნენ და იბრძოდნენ თავიანთი გამთავისუფლებისათვის მუშები და გლეხები მეფის რუსეთში“ (მე-2 და მე-3 გვერდებზე).

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — წიგნი გამოჩენილ რუს დრამატურგზე (მე-3 გვერდი).

აქტები, ხელწერილები და სინამდვილე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

კაპიტალიზმის ქვეყნები მზარდ წინააღმდეგობათა მარწუხში

კაპიტალისტური სისტემის უმწეობა და გახრწნილობა ჯერ არასოდეს არ გამოჩენილა ისე მკაფიოდ, როგორც ამჟამად.

მეორე მსოფლიო ომმა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი გამწვავება გამოიწვია. ომის დამთავრებიდან უკვე ოთხი წელიწადი გავიდა, ხოლო ის ქვეყნები, სადაც ბურჟუაზია ბატონობს, სულ უფრო უმედოდ და ღრმად ეფლობიან ეკონომიურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა, იმპერიალისტური მეტოქეობისა და სოციალური კონფლიქტების ჭაობში.

იმპერიალისტური ბანაკის მთავარი ქვეყანა — ამერიკის შეერთებული შტატები, — რომელიც ამჟამად მსოფლიო რეაქციის ცენტრი გახდა, წარმოადგენს ეკონომიური ქაოსის უმნიშვნელოვანეს წყაროს, ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში პოლიტიკური გახრწნის კერას. შეერთებული შტატების ეკონომიკა შეპყრობილია თანამედროვე პარაზიტული, ძირმომპალი კაპიტალიზმის ყველა საბედისწერო სენით. რაღა დარჩა ცრუ ლაყბობიდან „აყვავების“ შესახებ გარდუვალად მოახლოებული ახალი ეკონომიური კრიზისის პირობებში?

მსოფლიო ბატონობის ამერიკელი პრეტენდენტები, რომლებიც ცდილობენ არამკითხე დამრიგებელთა და მეურვეთა როლი შეასრულონ თითქმის ყველა ხალხისათვის, უბადრუკი და უმწეო ბანკროტები აღმოჩნდნენ თავიანთ საკუთარ სახლში.

შეერთებული შტატების მრეწველობა, რომელმაც ომისშემდგომ პერიოდში ომიანობის დროის წარმოების მაქსიმალური დონის 80 პროცენტსაც კი ვერ მიაღწია, 1948 წლის დამლევიდან დაღმა დაეშვა. 1949 წლის პირველ ნახევარში მრეწველობის პროდუქცია 13 პროცენტით შემცირდა — იმდენადვე, რამდენადაც 1929-1933 წლების კრიზისის პირველი ექვსი თვის განმავლობაში. ეს არა მარტო ავისმაუწყებელი თანადამთხვევაა; ეს მრისხანე მოგონებაა ახალ უამრავ უბედურებათა შესახებ, რომლებიც შეერთებული შტატების მოსახლეობისათვის მოაქვს მონოპოლიების ანგარებითს პარპაშს.

მოახლოებულ ეკონომიურ კრიზისს უდიდესი გაჭირვება მოაქვს ათეულ მილიონობით მამაკაცისა და ქალისათვის. შეერთებულ შტატებში უკვე ითვლება ექვს მილიონამდე სავსებით უმუშევარი და თორმეტ მილიონზე მეტი ნაწილობრივ უმუშევარი. ბევრ სამრეწველო რაიონში უმუშევრობამ მოიცვა მუშათა საერთო რიცხვის დაახლოებით მეოთხედი.

ეკონომიური კრიზისი თავის მორევში ითრევს დასავლეთ ევროპის მარშალიზებულ ქვეყნებს. მარშალის გეგმის ჩაშლა ფაქტია, რომლის უარყოფა ყველაზე თავგამოდებულ მის დამცველებსაც კი არ ძალუძთ. დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიამ თავისი ქვეყნების ეროვნული ინტერესები უოლ-სტრიტს მიჰყიდა ოცდაათ ვერცხლად, რაც ყველაზე აშკარა ხვრელების ამოსავსებადაც კი არ აღმოჩნდა საკმარისი. სამაგიეროდ მარშალის გეგმამ, რომელმაც დასავლეთ ევროპის ქვეყნები დოლარის ეტლს მიაჯაჭვა, აბერიკის ეკონომიკის ყოველი ბედუკუღმართობისათვის განწირა ისინი.

„ევროპის ეკონომიური აღდგენის“ მყვირალა რეკლამა, უსინდისო ბოტყუება აღმოჩნდა. მაშინ როცა საბჭოთა კავშირი, რომელმაც ორი მეხუთედით გადააჭარბა სამრეწველო წარმოების ომამდელ დონეს, მძლავრი და მტკიცე აღმავლობის გზით მიდის, მაშინ როცა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს თავიანთი სახალხო მეურნეობის აღდგენა, უკვე შორს მოიტოვეს ომამდელი ფარგლები, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკამ ძლივს მიაღწია კრიზისული 1938 წლის დონეს, ხოლო 1949 წელს უმედოდ დაეშვა დაბლა. ახლანდელი კრიზისი განსაკუთრებით ღრმა იქნება. იგი მოიცავს იმ ქვეყნებს, რომლებიც დასუსტებული არიან ომითა და მისი შედეგებით. იგი ჩაღდება ისეთ ვითარებაში, როცა კაპიტალისტური ექსპლოატაციის ასპარეზი კიდევ უფრო შევიწროვდა იმის გამო, რომ იმპერიალიზმის სისტემას გამოაკლდნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, და კვლავ ვიწროვდება კოლონიურ სამყაროში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეუჩერებელი ზრდის გამო.

დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში კრიზისის პირველმავე დარტყმებმა გამოიწვია მოსახლეობის საარსებო დონის სერიოზული დაქვეითება, უმუშევრობის ზრდა. გერმანიის დასავლეთ ზონებში მილიონ-ნახევრამდე უმუშევარი ითვლება. იტალიაში უმუშევართა სამმილიონიანი არმიაა, ამასთან უმუშევრობამ, რომის ოფიციალური საინფორმაციო სააგენტოს აღიარებით, „იტალიის ეკონომიურ ცხოვრებაში ორგანული ძოვლენის ხასიათი მიიღო“. პატარა ბელგიაში უმუშევართა რიცხვი 300 ათას კაცს აღემატება. საფრანგეთში ასეულ ათასობით უმუშევარი ითვლება. მნიშვნელობის მიხედვით მეორე კაპიტალისტურ სახელმწიფოს — ინგლისს თავი ვერ დაუწევია მთელი თავისი ეკონომიური სისტემის გაჭიანურებული კრიზისისათვის.

მოახლოებული კრიზისის ვითარებაში იმპერიალისტთა ბანაკში გარდუვალად მწვავდება ურთიერთშორის შუღლი. გააფთრებული ბრძოლა ბაზრებისათვის ამრავლებს იმპერიალიზმის ბანაკში ცენტრიდანულ ძალებს. ინგლის-ამერიკის ბლოკი ერთიანი ფრონტით გამოდის დემოკრატიისა და პროგრესის ძალების წინააღმდეგ. მაგრამ ამავე დროს მას უმწვავესი წინააღმდეგობანი ღრღნიან. სულ უფრო და უფრო მკაფიოდ და მკვეთრად იჩენს თავს ინგლის-ამერიკის მეტოქეობა ახლო და შუა აღმოსავლეთის დამოკიდებულ ქვეყნებში. მარშალიზებული ქვეყნების მთავრობები მზად არიან ყელი გამოღადრონ ერთმანეთს ამერიკული „დახმარების“ გაყოფისათვის.

ასეთია კაპიტალიზმის თანამედროვე ეკონომიკის უნუგეშო სურათი. არასოდეს ასე წინასწარმეტყველურად არ გაისმოდა მარქსის მრისხანე სიტყვები ბურჟუაზიის შესახებ, რომელსაც არ ძალუძს მონური არსებობა მაინც უზრუნველყოს თავისი დაქირავებული მონებისათვის. ახლანდელი კაპიტალიზმის ლპობად ეკონომიურ საფუძველზე წარმოშობიან ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის ძალდატანებით დამყარების ავანტიურისტული გეგმები, უაღრესად რეაქციული კოსმოპოლიტური წამოწყებანი, რომლებიც მიმართულია ხალხთა ეროვნული სუვერენიტეტის მოსპობისაკენ. ამ ნიადაგზე პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში იფურჩქნება რეაქციისა და ბნელეთისმოციქულობის უკიდურესი ფორმები. ამ ნიადაგზე უფრო და უფრო ძლიერდება ბურჟუაზიული კულტურის ხრწნა.

რის მიცემა შეუძლიათ კაპიტალისტური ქვეყნების მესვეურებს ხალხებისათვის, რომლებსაც მშვიდობა, სამუშაო, პური და თავისუფლება სწყურიათ?

მშვიდობის ნაცვლად — ახალი ომისათვის გააფთრებული მზადება, სამუშაოს ნაცვლად — უმუშევრობა, პურის ნაცვლად—ტყვია გაფიცული მშიერი მუშებისათვის, თავისუფლების ნაცვლად—მძვინვარე ტერორი მუშათა კლასისა და ყველა პროგრესული ძალების წინააღმდეგ.

რეაქციული იმპერიალისტური წრეები მოახლოებული კრიზისიდან გამოსავალს ეძებენ შეუჩერებელი, გამალებული შეიარაღების, ომის ისტერიის გაღვივების, საერთაშორისო ატმოსფეროს მოწამვლის გზით, მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერებისა და მათი საარსებო დონის შემდგომი დაქვეითების გზით, ხალხის ფართო მასების მზარდი უკმაყოფილების სასტიკი ჩახშობის გზით.

მაგრამ მმართველი ბანაკის ეს პოლიტიკა არა მარტო ანტიხალხურია, არამედ უგუნურიცაა. დღითიდღე უფრო აშკარაა, რომ ამ პოლიტიკას შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ისეთი შედეგი, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება იმას, რასაც მისგან ელიან კაპიტალისტური ქვეყნების ახლანდელი მესვეურები. ვინაიდან საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერება და გამალებული შეიარაღება კიდევ უფრო აძლიერებს ეკონომიურ ქაოსს. მოსახლეობის საარსებო დონის დაქვეითება გასაღების ბაზრების შემდგომ შემცირებას იწვევს. სასტიკი პოლიციური ღონისძიებანი არათუ არ ამცირებენ ხალხის მასების აღშფოთებას, არამედ, პირიქით, უკიდურეს ზომამდე აძლიერებენ ამ აღშფოთებას.

დღითიდღე იზრდება ხალხთა წინააღმდეგობა მონოპოლიებისა და მინისტრების სავარძლებში მსხდომი მათი ნოქრების პარპაშისადმი, ახალი ომის გამჩაღებელთა კაციჭამიობის ოინებისადმი. იზრდება და იწრთობა პროლეტარული სოლიდარობა. ხალხის უაღრესად ფართო მასები სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევენ ომის გამჩაღებლებს. დასავლეთ ევროპის ხალხები მტკიცედ აცხადებენ, რომ ისინი არასოდეს არ მისცემენ თავიანთ შვილებს საზარბაზნე ხორცად ადამიანის ხორცის მოყვარულ გადამთიელებს და არ გადააქცევინებენ თავიანთ ძველ ქვეყნებს ატომური ბრძოლების ასპარეზად. ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ხელშეკრულების წინააღმდეგ საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში გამართული მასობრივი დემონსტრაციები, მილიონობით ადამიანის ხელმოწერა საპროტესტო პეტიციებზე, მშვიდობის დასაცავად გაჩაღებული მძლავრი საყოველთაო-სახალხო მოძრაობა — ყოველივე ეს მრისწანე გაფრთხილებაა იმათ წინააღმდეგ, ვისაც ცეცხლთან თამაში სურს.

ამრიგად, ცხოვრება უთვალავი ფაქტით ადასტურებს, რომ ომის პროვოკატორთა ავანტიურისტულ გეგმებსა და ამ გეგმების რეალიზაციას შორის უდიდესი მანძილია. მშვიდობის ბანაკი, რომელსაც დიდი საბჭოთა სახელმწიფო მეთაურობს და რომელიც ყველა ქვეყნის ხალხთა მხარდაჭერით სარგებლობს, ომის ბანაკზე უფრო ძლიერია.

თითქმის ოცი წლის წინათ ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ „მეურნეობის **კაპიტალისტური** სისტემის გვერდით არსებობს **სოციალისტური** სისტემა, რომელიც იზრდება, რომელიც ვითარდება, რომელიც უპირისპირდება კაპიტალისტურ სისტემას და რომელიც თავისი არსებობის ფაქტით ცხადყოფს კაპიტალიზმის სიდამპლეს, არყევს მის საფუძვლებს“.

მას შემდეგ საბჭოთა კავშირში გიგანტურად გაიზარდა სახალხო მეურნეობის სოციალისტური სისტემა. ახლა სოციალიზმის მშენებლობის გზას, საბჭოთა კავშირის მაგალითისამებრ და მისი მძლავრი მხარდაჭერით, დაადგნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. საბჭოთა კავშირის და ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ხალხებმა თავი დააღწიეს კაპიტალიზმის ისეთ ხაშინელ ბოროტებას, როგორიცაა კრიზისები, უმუშევრობა, წარმოების გამანადგურებელი ანარქია. მთელი კაპიტალისტური სამყაროს ხალხები თვალნათლივ ხედავენ, რომ კაპიტალიზმის ამ საშინელი ბოროტების მოსპობა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ თვით კაპიტალისტური სისტემის მოსპობით.

საბჭოთა ადამიანები ამაყობენ იმით, რომ მათი გამარჯვებანი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ასპარეზზე, რომლებიც ამრავლებენ დიდი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას, ახალ ძალებსა და მხნეობას უნერგავენ კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებისათვის მილიონობით მებრძოლს. მიდის რა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ, საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია მტკიცე რწმენით, რომ მომავალი შრომის ადამიანებს ეკუთვნით.

„პრავდის“ 15-IX მოწინავე

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 800 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 12 სექტემბრისათვის 100,5 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მგელაძე და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზარანდია იტყობინებიან, რომ აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 800 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 1.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 100 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი ამხ. ჩაჩიბაია და მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გობეჩია იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 1.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 350 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი

წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებმა 100,4 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი ამხ. კვარაცხელია და მშრომელთა დეპუტატების წალენჯიხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ზარანდია იტყობინებიან, რომ წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 350 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ლ. პ. ბერიას სახელობის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი

ლ. პ. ბერიას სახელობის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 13 სექტემბრისათვის 100,6 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით მეურნეობის დირექტორი ამხ. ცხადაია და პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. შულაია იტყობინებიან, რომ მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ხორბლის დამზადების გეგმა

თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 100,1 პროცენტით შეასრულეს ხორბლის დამზადების გეგმა. ხორბლის დამზადება გრძელდება.

საგარეჯოს და მცხეთის რაიონების კოლმეურნეობებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა 100,3 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 110,2 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. პარკის დამზადება გრძელდება.

დახმარება მრავალშვილიან დედებს

გორი. (საკ. კორ.). რაიონში 3.560 მრავალშვილიანი დედაა აღრიცხული. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მათ მიეცათ სახელმწიფო დახმარება 5 მილიონ 337.500 მანეთი. რაიონში 10 გმირი დედაა. ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია 1.223 ქალი. მრავალშვილიან ქეთევან ზუბიაშვილს მიღებული აქვს დახმარება 30 ათასი მანეთი, ფეფო ხუბულურს — 25.000 მანეთი.

შაორის წყალი ტყიბულში

ტყიბული. (საკ. კორ.). შაორის წყალსადენის მშენებლებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს: საექსპლოატაციოდ გაშვებულ იქნა შაორის ტექნიკური წყალი, რომელიც გამოყენებულია ტყიბულის შახტების სამთო გამონამუშევრების დაშლამვისათვის.

შაორის წყალსადენის მშენებლები ახლა გაცხოველებით მუშაობენ იმისათვის, რომ უახლოეს ხანში მეშახტეთა ქალაქ ტყიბულის მცხოვრებლებს მისცენ შაორის სასმელი წყალი.

სილიკატური აგური

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის მოლიბდენის საამქროში (უფროსი გ. ჩომახიძე) აითვისეს სილიკატური აგურის წარმოება. ასეთი სახის აგურის წარმოება პირველია ამიერკავკასიაში. აგური კეთდება 90 პროცენტი სპონგოლიტის და 10 პროცენტი კირის ნარევისაგან. აღნიშნული ნარევი იფქვება წმინდად, იზილება, იწნეხება სპეციალურ დანადგარში და მიიღება ჩვეულებრივი ზომის აგური, რომლის გამოწვა ხდება ორთქლით. გამოწვის შემდეგ აგური თეთრი ფერისაა. სპეციალისტთა დასკვნით, სილიკატური აგური საუკეთესო საშენ მასალას წარმოადგენს.

მოლიბდენის საამქრო, სადაც აღნიშნულ აგურს აკეთებენ, დღითიდღე ადიდებს პროდუქციის გამოშვებას. დღემდე გამოშვებულია 350.000 ცალი აგური. არსებული დანადგარების სრული დატვირთვის შემთხვევაში შეიძლება დღე-ღამეში გამოშვებულ იქნას 24.000 ცალი აგური, რაც სავსებით დაკმაყოფილებს არა მარტო ქარხნის მოთხოვნილებას, არამედ საგრძნობი რაოდენობით მიაწვდის აგურს რესპუბლიკის სხვა საალმშენებლო ობიექტებსაც.

რადიოკვანძები კოლმეურნეობებში

ბურჯაანი. (საკ. კორ.). კარდანახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში დაიდგა 500-ვატიანი რადიოკვანძი, რომელიც მომსახურებას უწევს 200-ზე მეტი კოლმეურნის ოჯახს.

100-ვატიანი რადიოკვანძი მოეწყო აგრეთვე მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანებაში“.

ქუთაისი. (საკ. კორ.). სოფელ კვახჭირის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა 100-ვატიანი რადიოკვანძის მშენებლობა. უკვე რადიოფიცირებულია სოფლის საზოგადოებრივი შენობები.

ამჟამად კოლმეურნეთა ბინებში ეწყობა რადიოწერტილები.

ახალი სკვერი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში, სასტუმრო „ოდიშის“ პირდაპირ შენდება სოციალისტური მშენებლობის ამსახველი სტენდი. სტენდი დამშვენებული იქნება ი. ბ. სტალინის, ვ. მ. მოლოტოვისა და ლ. პ. ბერიას დიდი პორტრეტებით, რაიონის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოწინავე ადამიანების ფოტოსურათებით, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მრეწველობის ზრდის ამსახველი დიაგრამებით, ჩაის, ტუნგოს, ციტრუსების, ვენახის, მარცვლეულის, თამბაქოს, დაფნისა და ბოსტნეულის მაღალმხატვრულად შესრულებული ნატურმორტებით.

სტენდი 7 ნოემბერს გაიხსნება.

სოციალისტური შრომის გმირები

ხ. მ. გოგბილაძე

ბათუმის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.189 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ვ. მ. კონცელიძე

ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.365 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოყვანისათვის.



თ. ტ. დიანოსაშვილი

მაიაკოვსკის რაიონის დიმის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 110,2 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, რომ ბელორუსიის სსრ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და გლეხურმა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 1.600 ათასი ფუთით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1948 წლის ამავე ვადისათვის. სასურსათო კულტურების ჩაბარების გეგმა შესრულებულია 110,3 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება გრძელდება.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. გუსაროვი
ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. კლეშჩევი
სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ბელორუსიის სს რესპუბლიკაში ა. კარპოვი
ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ს. კოსტიუკი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის ბრძანებულების შესაბამისად, **ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა** და **ციტრუსოვანთა ნაყოფის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მტვრების მუშაობის ნატურანაზღ ურების გეგმები, **დაჯილდოებულ იქნან:**

შრომის წითელი დროშის ორდენით

246. **ცერცვაძე** ლიდა ხარიტონის ასული — მახარაძის რაიონის კონჭათის სასოფლო საბჭოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.010 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

247. **ცეცხლაძე** თუნთულ სკენდერის ასული—ქობულეთის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.404 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

248. **ცინცაძე** სეფე ალექსანდრეს-ძე —ჩოხატაურის რაიონის ზემოფარცხმის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 42,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

249. **ცირამუა** ლუბა ზოსიმეს ასული — ჩხოროწყუს რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.045 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

250. **ციროვი** ანესტი კირიაკეს-ძე — ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მერგოლური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.088 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

251. **ცნობილაძე** ბაბილინა გერასიმეს ასული — ტყიბულის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.088 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

252. **წულუკიძე** ხუსეინ ალის-ძე—ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 90 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 3.311 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

253. **წუწუნავა** ლევან გიორგის-ძე— მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 23,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

254. **ჩაგალიძე** უმიან ომერის ასული — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „კულტურის“ წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.165 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

255. **ჩანჩიბაძე** გუგული იოსების ასული — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.356 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

256. **ჩაჩუა** იროდი ბესარიონის-ძე — ზუგდიდის რაიონის რუხის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.505 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

257. **ჭეჟია** ვენერა სოლომონის ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.171 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

258. **ჭეჟია** ელენე ანტონის ასული— ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.119 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

259 **ჭელიშვილი** ბენია მელიტონის-ძე — პარტიის ტყიბულის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 31,9 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

260. **ჩიგოგიძე** აკაკი მათეს-ძე—მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 36,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 5.065 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

261. **ჩიკვაიძე** ისმაილ დავითის-ძე — ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 400 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 942 ცალი მანდარინი.

262. **ჭკადუა** ნათელა მიხეილის ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „მებრძოლის“ წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.679 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

(გაგრძელება იქნება)

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 177, 178, 179, 180, 181, 182, 183.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ახალმოსულნი ნარმაჯებით ითვისებენ ტექნიკას

რუსთავის ხის დამმუშავებელ კომბინატში ერთი თვის წინათ რაიონებიდან სამუშაოდ მოვიდა კომუნისტების ერთი ჯგუფი 27 კაცის შემადგენლობით. კომბინატის ხელმძღვანელები (დირექტორი შ. მონადირეიშვილი) ჩამოსულებს ყოველნაირ დახმარებას უწევენ, უქმნიან პროფესიის შესწავლის, ახალი ტექნიკის ათვისების ყველა პირობას. ასეთმა მზრუნველობამ უკვე მოგვცა ნაყოფი.

ვანის რაიონის სოფელ ზედა გზვანის კოლმეურნეობიდან რუსთავში სამუშაოდ ჩამოსულმა კომუნისტმა პავლე ჩხაიძემ ორ კვირაში შეისწავლა ჩარჩო-ხერხის მართვა. ის ახლა ყოველდღიურ დავალებებს 200 პროცენტით ასრულებს და იძლევა საუკეთესო ხარისხის დახერხილ მასალას. ასევე წარმატებით აითვისეს სახერხი დანადგარის მართვა ორჯონიკიძის რაიონიდან ჩამოსულებმა კონსტანტინე მაჩიტაძემ და ივანე რევაზიშვილმა. განვლილ თვეში თვითეულმა მათგანმა შეძლო პროფესიის კარგად ათვისება და ამასთან თვიური გეგმის 150 პროცენტით შესრულება.

შესანიშნავად ისწავლა კარ-ფანჯრის საკეთებელ საღარავ დაზგაზე მუშაობა ვანის რაიონის სოფელ შუამთიდან ჩამოსულმა კომუნისტმა გრიგოლ მინაშვილმა, რომელიც კარისა და ფანჯრის საუკეთესო ხარისხის დეტალებს ამზადებს და საწარმოო დავალებებს 140-145 პროცენტით ასრულებს.

ახალჩამოსულნი აქტიურად ჩაებნენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით იბრძვიან პირველობის მოსაპოვებლად.

ორი კვირის წინათ ჩამოვიდა და კომბინატში მუშაობა დაიწყო პირველხორგელმა (ხობის რაიონი) კომუნისტმა სერგი სივსივაძემ. ისიც კარ-ფანჯრის დეტალების დამზადებაზე მუშაობს.

— აქედან წამსვლელი აღარა ვარ,— ამბობს იგი,—რუსთავში უნდა დავსახლდე და ცოლშვილით აქ უნდა მოვეწყო. ავიშენებ სახლს, გავაკეთებ ბოსტანს და ვიცხოვრებ.

რუსთავში ახალჩამოსულები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ იმ მზრუნველობისა და დახმარებისათვის, რასაც მათ უწევენ რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია და სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელები. მაგალითად, ახალმოსულმა პავლე ჩხაიძემ უკვე მიიღო მშვენიერი ბინა, ჩამოიყვანა სოფლიდან ცოლშვილი და რუსთავის მკვიდრი მცხოვრები გახდა. ასევე დასახლდა აქ კონსტანტინე მაჩიტაძე.

ცხოვრობენ, სტახანოვურად მუშაობენ და წარმატებით ითვისებენ ახალ ტექნიკას რუსთავში ახალჩამოსულნი.

მ. გოგსაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

იბრძვიან წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

დიდძალი პროდუქცია მისცა სამშობლოს გეგმის გადამეტებით მიმდინარე წლის განვლილი 8 თვის მანძილზე თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა. ისევე, როგორც წინა წლებში, თბილისის მანქანათმშენებელთა ეს მოწინავე კოლექტივი წარმატებით ანაღდებს სოციალისტურ ვალდებულებებს, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, ამცირებს თვითღირებულებას და გეგმას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს.

ქარხანაში მრავლად არიან ისეთი მუშები, რომლებმაც უკვე შეასრულეს 2-3, და ზოგმა მეტი წლის ნორმა. ხარატმა გ. გასიშვილმა მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის უკვე შეასრულა 5 წლის ნორმა. მისი საშუალო თვიური გამომუშავება უდრის 3.013 მანეთს. ასეთივე მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა ქარხანაში მომუშავე სახელოვანმა მჭედელმა ვ. კორძაძემ, ხარატმა მ. აკოფოვმა და მრავალმა სხვა სტახანოველმა.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მისაღწევად ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 700.000 მანეთის პროდუქცია.

შეჯიბრების გაშლის პირველი დღეებიდანვე ქარხანაში ახალი ძალით გაჩაღდა სტახანოვური შრომა. წარმატებით შეუდგნენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას სამჭედლო, სახარატო, სამსხმელო, ამწყობი და ექსპერიმენტული საამქროების კოლექტივები, რომლებიც იბრძვიან დიადი დღესასწაულის დღეებისათვის საქარხნო პირველობის მოსაპოვებლად. ბრიგადებს შორის კარგი მაჩვენებლებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს ამხ. ს. საბელაშვილის ლითონმსხმელთა ბრიგადა. მეყალიბეთა და ლითონმსხმელთა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში წინ არიან ი. მირზოევი, ვ. თოფურიძე, ი. საჩკოვი და სხვები.

ამწყობ ზეინკლებს შორის კარგად მუშაობენ შ. ნანობაშვილი და შ. მაისურაძე, ხოლო ხარატებს შორის გ. გასიშვილი, მ. კოვალიოვი და სხვები.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებას უნარიანად და ოპერატიულად ხელმძღვანელობენ საქარხნო პარტიული (პარტორგანიზაციის მდივანი გ. სტურუა) და პროფესიული (საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ბახტაძე) ორგანიზაციები.

გ. ჩიქვინიძე

ჩაის კრეფაში დაწინაურებულნი

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება და ამჟამად გეგმის გადამეტებით იძლევიან ჩაის ნედლეულს.

ჩაის კრეფაში წინ მიდის სოფელ კორცხულის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც კრეფის წლიური დავალება 165,5 პროცენტით შეასრულა. ეს კოლმეურნეობა ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბაროს 100 ტონა ჩაის ფოთოლი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა აგრეთვე ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა. შარშან ამ კოლმეურნეობამ 264 ტონის ნაცვლად 345,8 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. წელს გეგმით 320 ტონის მოკრეფაა გათვალისწინებული. ეს დავალება, რაც თვითეული ჰექტარიდან 5 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის მიღებას ნიშნავს, უკვე განაღდებულია. კოლმეურნეებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 100 ტონა ჩაი.

ჩაის ფოთლის კრეფაში განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევს პირველი ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი თ. ყუფუნია ხელმძღვანელობს. დღეში 120-130 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ სოციალისტური შრომის გმირები ა. და ვ. ჯოჯუები, ვ. ყუფუნია, მ. მაქაცარია, ნ. ფოლმბითაა.

კარგ შედეგებს აღწევენ ... ყის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაც. 190 ტონის ნაცვლად ამ კოლმეურნეობაში 229 ტონა ჩაის ფოთოლია მოკრეფილი.

გეგმის გადამეტებით კრეფენ ჩაის ფოთოლს სოფელ ჩხორიის ყდანოვის, სოფელ რუხის ბერიას, ყდანოვის და შამგონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებშიც.

წლიური გეგმა შეასრულა ლ. ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამაც. მეურნეობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 200 ტონა ჩაის ფოთოლი.

მუშაობა უნდა გააძლიერონ ხეცერისა და ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა.

რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს — ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცენ 1 მილიონი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები ვალდებული არიან მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება ნაკისრი ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის.

ვ. მესხია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

უხეში საკვების დაგროვება და საკვების დასილოსება

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 10 სექტემბრის ცნობებით)

რაიონების დასახელება	უხეში საკვების დაგროვების (თვიანი გადაფასებით) გეგმის შესრულება პროცენტით	მათ შორის თივა პროცენტით	დასილოსებულს ბუნ-ის შესრულება პროცენტით
აფხაზეთის ასსრ	3,3	37,8	1,5
აჭარის ასსრ	0,01	0,2	17,3
სამხრეთ-ოსეთის ა. ოლქი	31,3	47,6	31,7
წითელწყარო	70,2	126,2	100,0
სიღნაღი	67,0	96,4	86,3
ლაგოდეხი	70,6	170,4	56,6
გურჯაანი	26,8	115,9	80,7
კაკრეთი	78,0	159,3	100 0
ყვარელი	41,4	77,4	42,2
თელავი	33,2	92,3	87,2
ახმეტა	34,0	52,9	75,7
საგარეჯო	29,0	53,3	70,3
თბილისი	41,1	64,9	84,4
მცხეთა	2,8	9,5	57,8
კასპი	25,9	48,2	30,0
გორი	10,1	30,2	38,9
ქარელი	33,3	124,1	7,8
ხაშური	35,7	72,0	28,8
ბორჯომი	38,1	59,3	76,0
თიანეთი	37,7	40,6	36,8
დუშეთი	32.2	61,1	23.9
ყაზბეგი	23,6	47,3	33,3
გარდაბანი	19,0	58,2	62,8
მარნეული	30,9	81,5	48,4
თეთრიწყარო	73,1	82,8	95,2
ბოლნისი	29,0	94,0	72,1
დმანისი	75.6	104.5	95,4
წალკა	37,3	60,2	79,5
ბოგდანოვკა	28,9	60,2	97,0
ახალქალაქი	27,4	52,7	79,7
ასპინძა	31,2	90,6	91,6
ახალციხე	67,2	112,9	41,0
ადიგენი	41,7	103,4	18.3
ორჯონიკიძე	12,6	218,0	79,8
ზესტაფონი	2,7	22.8	85,0
ჩხარი	5.8	104,0	70,7
ჭიათურა	7,1	42,2	92,9
საჩხერე	6,7	31,4	83,0
ქუთაისი	0,8	9,3	68,7
წყალტუბო	—	—	—
სამტრედია	1,9	5,5	54.2
წულუკიძე	1,3	0.1	3.3
ვანი	1,4	10,8	70,0
მაიაკოვსკი	1,2	5,7	103,1
ტყიბული	3,0	62,4	83,3
ონი	68,7	134,9	46,0
ამბროლაური	19,9	52,3	10,9
ცაგერი	4,5	58,7	87,4
მახარაძე	5,5	44,3	18,7
ლანჩხუთი	17,8	53,4	40,2
ჩოხატაური	3,3	23,7	—
აბაშა	1,4	7,0	55,0
გეგეჭკორი	0,6	16,7	48.0
ცხაკაია	4,8	29,8	71,5
ხობი	—	—	8,0
ზუგდიდი	19,1	21,7	36,3
წალენჯიხა	6,3	53.4	26,0
ჩხოროწყუ	13,0	100,0	26,7
ფოთი	28,3	85,0	—
ქვემო სვანეთი	49,3	170,1	100,8
სულ რესპუბლიკაში	**29,7**	**69,1**	**61,3**

პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად

როგორ მოვაწყოთ მეცადინეობა თემაზე „როგორ ცხოვრობდნენ და იბრძოდნენ თავიანთი განთავისუფლებისათვის მუშები და გლეხები მეფის რუსეთში“

მეცადინეობის დასაწყისში პროპაგანდისტი მოკლე შესავალი საუბრით აცნობს მსმენელთ პოლიტსკოლის ამოცანებსა და სასწავლო გეგმას. იგი განმარტავს, რომ პოლიტსკოლა პოლიტიკური განათლების პირველი საფეხურია და უნდა დაეხმაროს კომუნისტებს პოლიტიკური ცოდნის მინიმუმის დაუფლებაში.

წელიწადნახევარისორი წლის მანძილზე პოლიტსკოლის მსმენელებმა უნდა გაიარონ პოლიტკოდნის კურსი და ნათელი წარმოდგენა უნდა მიიღონ იმაზე, თუ როგორ ააშენეს და მტრებისაგან დაიცვეს სსრ კავშირის მუშებმა და გლეხებმა სოციალისტური საზოგადოება, შეისწავლონ სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლები (სსრ კავშირის კონსტიტუცია), ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული პრინციპები (საკავშირო კ. პ. (ბ) წესდება) და პარტიისა და სახელმწიფოს სამინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხები.

მას შემდეგ, რაც მსმენელთ გააცნობს მეცადინეობის ჩატარების მეთოდს (პროპაგანდისტის თხრობა და გაშლილი ამხანაგური საუბარი), პროპაგანდისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცოდნის მტკიცედ შეთვისების მთავარი პირობაა სასწავლო სახელმძღვანელოებზე სისტემატური დამოუკიდებელი მუშაობა.

პროპაგანდისტი იქვე აძლევს მსმენელთ საჭირო რჩევა-დარიგებას, თუ როგორ მოემზადონ მეცადინეობისათვის, როგორ გამოიყენონ სასწავლო მასალა.

პოლიტკოლის ხელმძღვანელმა მეცადინეობის ჩატარებისას უნდა გამოიყენოს გეოგრაფიული რუკა, თვალსაჩინო ხელსაწყოები, მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთებიდან აღებული მასალა.

პროპაგანდისტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პოლიტსკოლის მუშაობის წარმატება, მსმენელთა ყურადღება მეცადინეობებადმი მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ჩაივლის პირველი მეცადინეობა. ამიტომ პოლიტგანათლების ქსელში მეცადინეობის დაწყებიდანვე პროპაგანდისტი გულმოდგინედ უნდა ემზადებოდეს ყოველი მეცადინეობისათვის.

პირველი თემის მასალის შესწავლისას მსმენელებმა უნდა მიიღონ საჭირო ძირითადი ცოდნა კაპიტალისტური საზოგადოების ანტაგონისტურ კლასობრივ წინააღმდეგობებზე; თავიანთი საარსებო ინტერესებისათვის მშრომელთა ბრძოლაში მუშათა კლასის წამყვან როლზე; მარქსისტულ მუშათა პარტიაზე, როგორც მუშათა კლასის ხელმძღვანელ ორგანიზაციაზე. როგორც მუშათა კლასის ხელში ძირითად იარაღზე, ეროვნული ქვეყნების მშრომელთა მტკიცე დასაყრდენი და ბელადი მათის ბრძოლაში თავიანთი განთავისუფლებისათვის.

განემარტავს რა მსმენელთ თავისი თხრობის დასაწყისში, თუ რაში მდგომარეობს ექსპლოატატორული საზოგადოების არსი, პროპაგანდისტი აღნიშნავს, რომ ბატონყმობა რუსეთში მემამულეების მიერ რუსეთის მოსახლეობის ძირითადი მასის — გლეხობის ექსპლოატაციის მხეცური, აუტანელი ფორმა იყო. „მემამულეთა მონებად ყოფნა“ „გამოუვალი კაბალა“, — ასე დაახასიათა ლენინმა ბატონყმური რუსეთის გლეხობის მდგომარეობა (თხზ., ტ. 17, გამოც. მე-4, გვ. 65).

შემდეგ პროპაგანდისტი არკვევს რუსეთში გლეხობის აჯანყებათა უშედეგობის მიზეზებს, განმარტავს, თუ რატომ არის, რომ თვითონ გლეხობას საკუთარი ძალებით არ შეუძლია გადამარჯვოს განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ლაპარაკობს პროლეტარიატზე, როგორც ერთადერთ კლასზე, რომელსაც უნარი შესწევს სათავეში ჩაუდგეს მშრომელთა განმათავისუფლებელ ბრძოლას და ბოლომდე მიიყვანოს იგი. მაგრამ პროპაგანდისტი ამ დებულებას დაუწვრილებით არ ავითარებს, რადგან ამის შესახებ ლაპარაკი იქნება შემდეგ მეცადინეობაზე.

მას შემდეგ, რაც პროპაგანდისტი უამბობს მსმენელთ, თუ რა მიზეზებმა აიძულეს მეფის მთავრობა დათანხმებულიყო ბატონყმობის გაუქმებაზე, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეგრეთ წოდებულ 1861 წლის ფეოდალურ ბატონყმურობის გაუქმების მთავარი საფუძველი — მემამულური მიწათმფლობელობა არ მოსპობია და ამიტომ გლეხის მდგომარეობა არ შეუმსუბუქებია. ბატონყმობის მნიშვნელოვან ნაშთებს, რომლებიც სოფლად იყო დარჩენილი, დაემატა კიდევ კაპიტალისა და კულაკების ეღელი, რომლებიც ხელში იგდებდნენ გლეხთა მეურნეობასა და გლეხთა მიწებს. ყოველივე ეს აძლიერებდა შიმშილსა და სიღატაკეს სოფლად.

თხრობის მეორე ნახევარი უნდა მიეძღვნას რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების და მუშათა კლასის მდგომარეობას. პროპაგანდისტი მოკლედ განმარტავს, თუ რა არის კაპიტალიზმი და როგორ ეშვება კაპიტალისტი ექსპლოატაციას მუშას, იგი ამბობს, რომ კაპიტალისტური წარმოების მიზანია არა მოსახლეობის მოთხოვნილებათა, არამედ ექსპლოატატორთა ანგარებიანი ინტერესების დაკმაყოფილება. აქედან წარმოსდგება კაპიტალისტური მეურნეობის ანარქია, ეგზემა, რაც იწვევს ჭარბი წარმოების კრიზისებს. ეკონომიური კრიზისების ბუნების ახსნისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მსმენელები გაერკვნენ, რომ ამა თუ იმ საქონლის ჭარბი წარმოება კაპიტალისტურ ქვეყანაში არ ნიშნავს ამ საქონლით მოსახლეობის მოთხოვნილებათა ჭარბად ან სრულად დაკმაყოფილებას, არამედ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ეს საქონელი დამზადებულია იმაზე მეტი, რის ყიდვაც შეუძლიათ ძირითად მომხმარებლებს, ესე იგი ხალხის მასებს, რომელთა შემოსავალიც დაბალ დონეზე რჩება. ნარკვნიზმის ამ თეორიული დებულების საილუსტრაციოდ გამოდგება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების დაცვისა და მშრომელი მასების გაღატაკების ახლანდელი მაგალითი.

უხატავს რა მსმენელთ მეფის რუსეთში მუშათა და გლეხთა პოლიტიკური უუფლებობის, არარუსი ხალხების უსასტიკესი ეროვნული ჩაგვრის სურათს, პროპაგანდისტი აღნიშნავს თვითმპყრობელური ხელისუფლების ორგანოების თავიდან ბოლომდე მკაფიოდ გამოხატული კლასობრივ ხასიათს; ამ ხელისუფლებამ მხოლოდ ერთი ამოცანა იცოდა: დაეცვა მემამულეებისა და კაპიტალისტების კლასობრივი ინტერესები. რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკა ჩაგრულ ეროვნებათა მიმართ აგებული იყო ვერაგულ პრინციპზე „გასთიშე და იბატონე“.

ამთავრებს რა თხრობას, პროპაგანდისტი კონკრეტული ისტორიული ფაქტებით ცხადყოფს, თუ როგორ თანდათანობით, მაგრამ უფრო და უფრო მეტად დამოკიდებული ხდებოდა მეფის რუსეთი დასავლეთ ევროპის კაპიტალზე, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენი სამშობლოს ამ ეროვნულ უბედურებაში პირდაპირ დამნაშავენი იყვნენ მემამულეები და კაპიტალისტები.

საუბარი თემის პირველი ნაწილის შესახებ იმართება შემდეგ მეცადინეობაზე, როცა მსმენელები უკვე გაცნობილი არიან სასწავლო მასალებს.

მსმენელები, უეჭველია, ერთგვარად იცნობენ მუშათა და გლეხთა რევოლუციამდელ ცხოვრებას მხატვრული ლიტერატურით, უფროსი თაობა ადამიანთა ნაამბობით, ზოგიერთი კი საკუთარი გამოცდილებითაც, და ამიტომ ეცდებიან თავიანთი ცოდნა სხვებსაც გაუზიარონ მეცადინეობის დროს. უნდა გამოვიყენოთ მსმენელთა აქტიურობა და მათი ახრი „წარმომართოთ მეფის რუსეთის მუშათა და გლეხთა გაჭირვებული მდგომარეობის ძირითადი მიზეზის: მემამულეებისა და კაპიტალისტების მიერ მშრომელთა მხეცური ექსპლოატაციის გასარკვევად. რამდენადაც ეს საუბარი მსმენელთათვის თემის ორგანიზებული კოლექტიური განხილვის პირველი ცდა იქნება, იგი მეტისმეტად არ უნდა დაიტვირთოს კითხვებით. საკმარისი იქნება თუ მსმენელები მაგალითებით აჩვენებენ, როგორი იყო მემამულეების მიერ გლეხების, ხოლო კაპიტალისტების მიერ მუშების ექსპლოატაციის ფორმები; როგორ ჩაგრადა ცარიზმი რუსეთის ხალხებს და ათერგებდა მათის განვითარების და რასთვის აღვიარებდა მათ შორის ეროვნულ შეურაცხყოფას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მსმენელებმა შეიგნონ, თუ რა არის კაპიტალიზმი და როგორ ვითარდებოდა იგი რუსეთში.

საუბრის დასასრულს უნდა მოვაგონოთ მსმენელთ ამხანაგ სტალინის სიტყვები იმის შესახებ, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ, ყველა შეგვიწროებულმა, ყველა დევნილმა, რომ „შეიგნოს, სად არის მათი საერთო მტერი, რუსეთის დესპოტური მმართველობა, ერთ დღესაც ვერ გასძლებდა“ (თხზ., ტ. 1, გვ. 22).

ეს სიტყვები დაეხმარება მსმენელთ გაიგონონ, თუ რა ძალართულებით ეთითარდებოდა მოღვაწეობა პირველი რუსი რევოლუციური მარქსისტებისა, რომლებსაც ლენინი და სტალინი ხელმძღვანელობდნენ.

* * *

პროპაგანდისტის თხრობა მეორე მეცადინეობაზე ძირითადად მიეძღვნება მუშათა კლასის, როგორც თავისი განთავისუფლებისათვის მშრომელთა ბრძოლაში ხელმძღვანელი ძალის ისტორიული როლის გამორკვევას. პროპაგანდისტი მსმენელთ გააცნობს „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ძირითად დებულებათა შინაარსს და ლაპარაკობს რუსეთში მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯების შესახებ.

თხრობა უნდა დაიწყოს იმის განმარტებით, თუ რა არის კლასები და რატომ არის შეუფარგებელი ექსპლოატირებულ და ექსპლოატატორულ კლასთა ინტერესები.

პროპაგანდისტი ცხადყოფს ექსპლოატატორული და ექსპლოატირებული კლასების განმასხვავებელ ნიშნებს კაპიტალისტური საზოგადოების ორი ძირითადი ანტაგონისტური კლასის—ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის მაგალითით და შემდეგ ლაპარაკობს მათ შორის წარმოებულ შეურიგებელ კლასობრივ ბრძოლაზე. ამასთან იგი მსმენელთა ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ჩაგრულთა საუკუნეობრივ ბრძოლას ჩაგრულთა განთავისუფლება არ მოჰყოლია. მშრომელთა ექსპლოატაციის ერთი ფორმა იცვლებოდა ექსპლოატაციის მეორე ფორმით, მაგრამ თვით ექსპლოატაცია რჩებოდა. მხოლოდ მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა, ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა, აუცვეს ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობისაკენ.

შემდეგ, პროპაგანდისტი აყენებს კითხვას: რატომ მხოლოდ მუშათა კლასს შეუძლია მიაღწიოს გამარჯვებას კაპიტალის ძალაუფლების დამხობისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობისათვის ბრძოლაში? ამიტომ რომ ის არის ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, რომელიც დაკავშირებული არ არის წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებასთან, სწრაფად იზრდება რაოდენობრივად და პოლიტიკურად, ადგილად ირაზმება. პროპაგანდისტი განსაკუთრებით აღნიშნავს მარქსისტულ დასკვნას იმის შესახებ, რომ საჭიროა ბურჟუაზიის ბატონობის ძალდატანებითი დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

მუშათა კლასის დიადი ისტორიული როლი კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში პირველად ალმაჩინეს მუშათა კლასის გენიალურმა მასწავლებლებმა მარქსმა და ენგელსმა, რომლებმაც თავიანთი უკვდავი მოძღვრების საფუძველები ჩამოაყალიბეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“.

მსმენელებს უნდა მოეგონოთ ის შეფასება, რაც „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“ მისცეს ლენინმა და სტალინმა.

ლენინი წერდა:

„ეს პატარა წიგნაკი მთელ ტომებს უდრის: დღემდე მისი სულისკვეთებით ცოცხლობს და მოძრაობს ცივილიზებული მსოფლიოს მთელი ორგანიზებული და მებრძოლი პროლეტარიატი“ (ლენინი. თხზ., ტ. 2, გამოც. მე-4, გვ. 12).

„მარქსიზმის ქებათა ქება“—ი. ბ. სტალინის მიერ მოცემულ ამ განსაზღვრაში გამოხატულია „კომუნისტური. მანიფესტის“ უკვდავი იდეების ღრმა შინაარსი, მათი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

1891 წელს სამარაში ახალგაზრდა ლენინმა რუსულ ენაზე თარგმნა „კომუნისტური მანიფესტი“. ჯერ კიდევ 1896-1898 წლებში ამხანაგი სტალინი განმარტავდა მარქსიტულ წრეებში „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ძირითად დებულებებს. „კომუნისტური მანიფესტის“ ერთ-ერთი არალეგალური გამოცემა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

წიგნი გამოჩენილ რუს დრამატურგზე

გამოჩენილი რუსი დრამატურგი ალექსანდრე ოსტროვსკი თავის ძოხსენებითს ბარათში „მოსკოვში რუსული სახალხო თეატრის დაარსების შესახებ“, სხვათა შორის, წერდა: „მხოლოდ იმ ნაწარმოებებმა გაუძლეს საუკუნეებს, რომლებიც ეშმარიტად ხალხური იყვნენ თავის ქვეყანაში. ასეთი ნაწარმოებნი დროთა განმავლობაში გასაგები და ღირსშესანიშნავი ხდებიან სხვა ხალხებისათვის და ბოლოს მთელი ქვეყნიერებისათვისაც“. სწორედ ამ ხალხურობისათვის უყვარს ალექსანდრე ოსტროვსკის პიესები სხვა ერებთან ერთად ქართველ ხალხსაც.

დიდი დრამატურგის ნაწარმოებნი ქართველმა მაყურებელმა პირველად 1874 წელს იხილა სცენაზე, მაგრამ ოსტროვსკის სახელი მანამდეც ცნობილი იყო ჩვენში. ჯერ კიდევ 1868 წელს გაზეთ „დროების“ № 51-ში პეტერბურგელი კორესპონდენტი აღნიშნავდა, საყურადღებოა ოსტროვსკის ახალი პიესა „ზოგჯერ ბრძენიც შეცდებაო“. ქართულ სცენაზე ოსტროვსკის პიესებს ჩვენი საზოგადოებრიობა თავიდანვე სიხარულით მიეგება. 1879 წლის 19 სექტემბრის ნომერში „დროების“ რეცენზენტი ოსტროვსკის „შემოსავლიან ადგილს“ ერთ საუკეთესო პიესად თვლის. ქართული პრესა ყოველთვის აღფრთოვანებით ხვდებოდა ოსტროვსკის პიესებს და მრავალ საყურადღებო რეცენზიას უძღვნიდა მათ. რეცენზიები ეხებოდა ცალკეულ დადგმებს, ისე როგორც ი. გრიშაშვილის მეტად საყურადღებო ნარკვევი ოსტროვსკის ეხება მხოლოდ საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.

ოსტროვსკის მთელი შემოქმედების ნარკვევი ქართულ ენაზე არ ყოფილა და ამ ხარვეზს ავსებს ერ. ქარელიშვილის წიგნი „ალექსანდრე ოსტროვსკი“, რომელიც გამომცემლობა „ხელოვნებამ“, დაბეჭდა.

ა. ოსტროვსკიმ იმ პერიოდში დაიწყო მოღვაწეობა, როცა ფეოდალური რუსეთი რღვევის გზას ადგა და ბურჟუაზია მტკიცედ იკიდებდა ფეხს, როცა გაბატონებული იყო პოლიტიკური და ზნეობრივი აღვირახსნილობა, ძალმომრეობა, თვითნებობა, მშრომელთა ჩაგვრა და ექსპლოატაცია. რეაქციული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი „რაზნოჩინცების“ წიგნებში დგება ა. ოსტროვსკი, რომელმაც თავის შესანიშნავ დრამატულ ნაწარმოებებში ასახა მთელი მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება.

ერ. ქარელიშვილის წიგნი მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ ასახავს იმ წრესა და დროს, როცა ა. ოსტროვსკი გამოვიდა სამოღვაწეოდ.

წიგნის პირველ თავს წამძღვარებული აქვს ოსტროვსკის სიტყვები „დრამა და კომედია იწერება მთელი ხალხისათვის“, და ავტორიც, აცნობს რა ამ თავში მკითხველთ ოსტროვსკის ცხოვრებას, დაწვრილებით არჩევს დრამატურგის თითქმის ყველა მნიშვნელოვან დრამასა და კომედიას, რომლებიც „იწერებოდა მთელი ხალხისათვის“. ნარკვევში ნათლად არის გაშუქებული, თუ რა დაბრკოლებათა გადალახვა სჭირდებოდა ა. ოსტროვსკის, რომ „ყოველისშემძლე“ ცენზურის კედლები გაერღვია და სცენაზე ეხილა თავისი შემოქმედების ნაყოფი. ავტორს კარგად აქვს გაშუქებული ოსტროვსკის პირველი ნაბიჯები, გაძარჯვებანი და მარცხი. ავტორი ეხება რევოლუციური დემოკრატიის იმ წარმომადგენლებს, სახელდობრ ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვს, რომელთაც თავიანთ შესანიშნავ კრიტიკულ წერილებში მოურიღებლად ამხილეს ა. ოსტროვსკის შეცდომები და ამით მის შემოქმედებას სწორი მიმართულება მისცეს.

მეორე თავში „ოსტროვსკი და რუსული თეატრი“ მკაფიოდ არის გაშუქებული ა. ოსტროვსკის ნაყოფიერი როლი რუსული ნაციონალური თეატრის აღორძინების საქმეში. მიუხედავად ა. ოსტროვსკის დიდი პოპულარობისა, რევოლუციამდელ თეატრში მას ისეთი დაფასება როდი ჰქონდა, როგორც ჩვენს დროში აქვს. გავიხსენოთ ოსტროვსკის ერთი კერძო წერილი მიწერილი აქტიორ ბურდინისადმი. „თეატრს 25 ორიგინალური პიესა მივეცი. დღემდე ვერ ვეღირსე იმას, რომ ცოტათი ძაინც გაძმასხვავონ მდარე ღირსების მთარგმნელისაგან“—წერს იგი.

მართებულად აღნიშნავს ამხ. ქარელიშვილი, რომ „დიდი რუსი დრამატურგის შემოქმედებისადმი სიყვარული საყოველთაო სახალხო გრძნობად იქცა მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ“. ამას ცხადყოფს შემდეგი ციფრები: რევოლუციამდელ რუსეთში 30 წლის მანძილზე ოსტროვსკის ნაწარმოებნი გამოცემული იყო 254 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით, საბჭოთა კავშირში კი 30 წლის მანძილზე გამოცემულია 3.753 ათასამდე ეგზემპლარი ტირაჟით.

წიგნის უკანასკნელ თავში „ოსტროვსკი და ქართული თეატრი“ ავტორი ეხება ა. ოსტროვსკის პიესების დადგმებს ქართულ სცენაზე. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართული თეატრი ა. ოსტროვსკის პიესებს იცნობდა და ახორციელებდა ავტორის სიცოცხლეშივე. ა. ოსტროვსკის პიესებმა დიდი და ნაყოფიერი გავლენა მოახდინეს ჩვენს მაშინდელ დრამატურგებზე. გვგონია წიგნი გაცილებით მოიგებდა, ავტორი უფრო ვრცლად რომ შეხებოდა ოსტროვსკის როლს ძველ ქართულ თეატრში.

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ა. ოსტროვსკი ქართველი მაყურებლისათვის ყველაზე მეტად ჩვენს დროში გახდა პოპულარული. რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების მიერ დადგმული ოსტროვსკის პიესების განხილვით ავტორი ამის ნათელ სურათს იძლევა. ავტორი თავის შრომას უწოდებს ბიოგრაფიულ-კრიტიკულ ნარკვევს. თუ ვრცლად და დამაჯერებლად არის მოცემული ამ ნაშრომში ა. ოსტროვსკის შემოქმედება, ვერ ვიტყვით, რომ ასევე ვრცლად იყოს ბიოგრაფიული ცნობები. მიუხედავად ამ ნაკლისა, კარგი ქართული ენით დაწერილი, სადად, მაგრამ გემოვნებით გამოცემული ეს წიგნი დროული და მისასალმებელია.

ა. ბურთიკაშვილი

ჩვენ გვწერენ

წიგნები დროულად არ მოაქვთ

— კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანი „იმერეთის ცისკარი“ გვინდა.

— არა გვაქვს.

— ქართულად თარგმნილი შანდორ პეტეფის ლექსების კრებული?

— არც ეგ გვაქვს.

— „ქართველი პარტიზანები ჰოლანდიაში“?

— არ მიგვიღია...

ასე უპასუხებენ მკითხველების ყოველ თხოვნას საბჭოთა ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობის ქ. სტალინირის მაღაზიაში.

შემდეგ მკითხველი მიეშურება წიგნების მეორე მაღაზიისაკენ, რომელიც საბჭოთა ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კოოპკავშირს ეკუთვნის. ამ მაღაზიიდანაც ხელცარიელი გამოდის.

წიგნის სხვა მაღაზია სტალინირში არ არის.

ქართულ ენაზე უკვე გამოიცა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეშვიდე ტომი, სტალინირელ მკითხველს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს კი დღემდე არ მიუღიათ მეექვსე ტომი.

ასეა ხშირად. თბილისში გამოცემული მთელი რიგი საინტერესო წიგნები აქ ან სულ არ მოსდით, ან უკეთეს შემთხვევაში დიდი დაგვიანებით, სამოოთხი თვის შემდეგ იღებენ.

სტალინირელი მკითხველი საბჭოთა ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კოოპკავშირისა და „საქწიგნის“ ხელმძღვანელი ამხანაგებისაგან მოითხოვს წიგნების დროულად მიწოდებას.

ვლ. გელაშვილი

გრაფიკი არასწორადაა შედგენილი

რკინიგზის ოჩამჩირე-კვეზანის სამგზავრო მატარებლის მიმოსვლის გრაფიკი შედგენილია სხვა შემხვედრი მატარებლების გრაფიკის გაუთვალისწინებლად.

გრაფიკით კვეზანიდან ოჩამჩირეში დილის 7 საათზე მოსული მატარებელი ერთი საათის შემდეგ უკან ბრუნდება, ხოლო 9 საათზე სოხუმ-ბათუმისა, და ბათუმ-სოჩის მატარებლებით ჩამოსული მგზავრები დიდხანს რჩებიან ოჩამჩირეში. კვეზანიდან მატარებელი ჩამოდის 11 საათზე და ორ-სამ საათს უქმად დგას.

საღამოობით 11 საათზე ეს მატარებელი კვლავ ხვდება სოხუმ-თბილისის, მატარებელს, მაგრამ ეს საჭიროა მხოლოდ დღეგამოშვებით, ვინაიდან სოხუმ-თბილისის მატარებელი დღეგამოშვებითაა, ხოლო კვეზან-ოჩამჩირის მატარებელი ყოველ საღამობით ასე დადის და ამის შედეგად კვეზანიდან წამოსულ მგზავრებს ხშირად ოჩამჩირეში უხდებათ დამის გათევა.

გარდა იმისა, რომ გრაფიკი შედგენილია ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად, მას სისტემატურად არღვევენ ოჩამჩირისა და კვეზანის სადგურების მორიგე დისპეტჩერები.

საჭიროა ოჩამჩირე-კვეზანის მატარებლის მოძრაობის გრაფიკის შესწორება საერთო გრაფიკის შესაბამისად.

მგზავრები: ი. კასლანელია, ა. გვარამია, ა. ვიტკოვსკაია

აქეზები, ხელნაჭრილები და სინამდვილე

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ჭიათურიდან ამბროლაურს ავტომანქანა მიადგა. მანქანაში იყვნენ რაჭის მკვიდრნიც, ჭიათურელი სტუმრებიც. კარგი დრო გაატარეს რაჭაში. ბოლოს მანქანა ხვანჭკარის ღვინით დატვირთეს და კვლავ ჭიათურისაკენ დაბრუნდნენ. მგზავრები მშვიდობით მოვიდნენ ჭიათურაში. მგზავრთა შორის იყვნენ ჭიათურის რაიკოოპკავშირის სავაჭრო განყოფილების გამგე ბ. ფალავანდიშვილი და სასადილოს მებუფეტე შ. წერეთელი.

მოვიდნენ თუ არა ჭიათურაში, დაიწერა შესყიდვის აქტი, თითქოს სასადილოს მებუფეტე შ. წერეთელმა სოფელ ბუეიულში მოქალაქე ვასილ გურაბანიძისაგან იყიდა 1.300 ლიტრი ღვინო და ყოველ ლიტრში გადაიხადა 25 მანეთი. ამ აქტს თითქოს ხელს აწერს გამყიდველი ვ. გურაბანიძე. არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ აღნიშნული ღვინო სასადილომ გაყიდა ფასის დიდი დარიცხვით — ლიტრი 30 მანეთად. ამ აქტთან ერთად არის ხელწერილი, რომელიც იუწყება, რომ რაჭიდან ღვინო ჩამოტანა შოფერმა მიქიაშვილმა და მან რაიკავშირიდან (ამხ. ბ. ფალავანდიშვილის რეზოლუციით) მიიღო 1000 მანეთი. ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა. მაგრამ როგორია სინამდვილე?

ჭიათურის რაიკოოპკავშირის წარმომადგენლებმა მოქალაქე ვ. გურაბანიძისაგან მართლაც იყიდეს ღვინო, მაგრამ არა 1.300 ლიტრი, არამედ 300 ლიტრი და ყოველ ლიტრში მისცეს არა 25 მანეთი, არამედ 18 მანეთი და 75 კაპიკი. შემდეგ, შოფერი მიქიაშვილი აქ არაფერ შუაშია, რადგან რაჭაში ჭიათურელებს ახლდათ შოფერი საცერაძე, რომელსაც ფაქტიურად არაფერი არ მიუღია იმიტომ, რომ მას ხელზე ჰქონდა საგზური: ჭიათურა-ტყიბული-ჯვარი. საგზურს ხელს აწერდა მშენებლობის სატრანსპორტო განყოფილების უფროსი ჭანტურია. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამხ. ჭანტურიასათვის ასეთი რამ შემთხვევითი როდია. ამ „ბრწყინვალე“ ოპერაციის სულისჩამდგმელი იყო რაიკოოპკავშირის სავაჭრო განყოფილების გამგე ბ. ფალავანდიშვილი.

ამ ამბავმა მილიციის ორგანოებამდე მიაღწია. ვერ ვიტყვით, რომ აქ ამას არ გამოეხმაურნენ. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჭიათურის განყოფილების უფროსის მოადგილეს მილიციის დარგში ამხ. ა. შენგელიას არაერთგზისი მიწერა დასჭირდა ამბროლაურში, რათა მოენახათ მოქალაქე ვ. გურაბანიძე. ყველაფერი გამოირკვა, მაგრამ დამნაშავეებს ჭირისუფლები გამოუჩნდნენ და საქმეს მსვლელობა არ მიეცა.

ჭიათურის რაონის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში სხვა დამახინჯებებიც არის. როგორც ცნობილია, ჭიათურის რაონის კოლმეურნეობები სახელმწიფოს სოიას აბარებენ. სამაგიეროდ სახელმწიფო კოლმეურნეებს საჭმელ ზეთს აძლევს. იგი კილოგრამი 7 მანეთი და 50 კაპიკი ღირს. ჭიათურის რაიკოოპკავშირმა კოლმეურნეობებზე დასარიგებლად ასეთი ზეთი მარტო 1948 წელს 7 ტონაზე მეტი (ზუსტად 7.343 კილოგრამი) მიიღო. საწყობის გამგემ მ. ელიკაშვილმა, რომელიც დახელოვნებულია თაღლითობაში, დრო იხელთა. იგი ზოგ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შეთანხმებით, ხოლო ზოგს მოტყუებითაც კოლმეურნეებისათვის დასარიგებელ ზეთს საწყობში ატოვებინებდა და შემდეგ რაიკავშირის მაღაზიაში, სადაც გამგეთ მისი ძმა—დ. ელიკაშვილია, კილოგრამს 30 მანეთად ყიდდა.

მრავალთაგან ერთ მაგალითს მოვიყვანთ. სოფელ ზედა უსახელოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას 1948 და 1949 წელს თითქოს რაიკავშირისაგან მიღებული აქვს 485 კილოგრამი ზეთი. მიღებაზე ხელს აწერს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. სამხარაძე. შემოწმებით გამოირკვა, რომ ფაქტიურად კოლმეურნეობას მიღებული აქვს მხოლოდ 170 კილოგრამი ზეთი და ისიც მაღაზიაში გაიყიდა ზედმეტ ფასებში. მეორე ხელწერილით, რომელიც სტანდარტულად შედგენილია რაიკავშირში, ამხ. სამხარაძეს მიღებული აქვს 315 კილოგრამი ზეთი. ამაზე იგი ოფიციალურად აცხადებს: „რაც შეეხება ხელწერილს 315 კილოგრამი ზეთის მიღებაზე საწყობიდან, რომელზედაც ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ, ჩემს მიერ სინამდვილეში მიღებული არ არის. 315-ის ნაცვლად მიღებულია 20 კილოგრამი და იგი დატოვე იქვე“. ამხ. სამხარაძე არც უცოდინარია და არც გამოუცდელი. ამიტომ გაკვირვებას იწვევს მისი საქციელი, როდესაც ხელს აწერს 315 კილოგრამი ზეთის მიღებაზე და ფაქტიურად კოლმეურნეობაში არც ერთი კილოგრამი არ მიუტანია. ისიც გაუგებარია, თუ რატომ დატოვა მან ჭიათურაში კოლმეურნეობის კუთვნილი ზეთი.

გაუგებარია ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარის (ჭილოვანი, სარქველეთუბანი) დაუდევრობაც. ისინი რომელიმე კოლმეურნეს, ან ნოქარს მინდობილობას აძლევენ მიიღოს საწყობიდან მათი კუთვნილი ზეთი. მიმღები მინდობილობის მეორე გვერდზე წერს, აღნიშნული ზეთი მივიღეო, მაგრამ გაურკვეველია, რამდენი ან როდის მიიღო. ესეც ხელს უწყობდა საწყობის გამგე მ. ელიკაშვილს ეკეთებინა მისთვის ჩვეული საქმე. მან რამდენჯერმე მოატყუა ზოგიერთნი. მაგრამ ამ „დამსახურებისათვის“ იგი ახლახან საქონლისმოცდენედ და მომმარაგებლად დააწინაურეს, ხოლო საწყობის გამგედ მისი ძმისწული ი. ელიკაშვილი გადაიყვანეს. ალბათ იმიტომ, რომ მეტი გასაქანი მიეცეთ ელიკაშვილებს.

ასეთია აქტები, ხელწერილები და სინამდვილე.

ჭიათურის რაიკოოპკავშირში რომ ყველაფერი რიგზე არაა, ეს იციან ვაჭრობის განყოფილებამაც, პროკურატურამაც, მაგრამ რატომღაც გადამჭრელ ზომებს არ იღებენ დამნაშავეთა მიმართ.

ვფიქრობთ, პარტიის ჭიათურის რაიკომი საფუძვლიანად შეისწავლის რაიკოოპკავშირის ზოგი მუშაკის „საქმიანობას“ და წესრიგს დაამყარებს რაიკავშირის მუშაობაში.

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„აღმოვუხვრათ ნაკლოვანებანი სავაჭრო ქსელში. უკეთესად დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოთხოვნილება“

„კომუნისტის“ 14 ივლისის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მოყვანილი იყო მთელი რიგი ფაქტები ვაჭრობის წესებისა და საქონლის ასორტიმენტის სავალდებულო მინიმუმის დარღვევისა, აგრეთვე ცალკეულ მაღაზიებში ვაჭრობის წესების დამახინჯებათა შესახებ.

როგორც საქართველოს სს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრი ამხ. მ. ნარსია გვატყობინებს, სამინისტრომ საკუთარი სწორად ცნო კრიტიკა. ვაჭრობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე გაზეთში მოთავსებული მასალები რესპუბლიკის ყველა სავაჭრო ორგანიზაციამ განიხილა აპარატისა და ქსელის მომუშავეთა თათბირებზე, დამატებით შემოწმებულ იქნა სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობა და გამომჟღავნებულ ნაკლთა აღმოსაფხვრელად დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი.

ვაჭრობის სამინისტრომ გააძლიერა კონტროლი საქონლის საასორტიმენტო მინიმუმისა და ვაჭრობის წესების დაცვისადმი სავაჭრო ქსელში. ამას წინათ ვაჭრობის სამინისტრომ ქალაქებში ჩაატარა სავაჭრო ქსელის შემოწმება, აგრეთვე შეამოწმა თბილვაჭრობისა და გასტრონომის ქსელის მუშაობა. შემოწმების შედეგები განხილულ იქნა საქართველოს სს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე. გამოვლინებ ლ ნაკლთა გამოსასწორებლად კოლეგიამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. ვაჭრობის წესების დარღვევისა და სხვა დანაშაულებრივი მოქმედებისათვის სამუშაოდან მოიხსნა და პასუხისგებაში მიეცა ხუთი კაცი, ხოლო ადმინისტრაციული სასჯელი დაედო 14 კაცს.

ვაჭრობის სამინისტრომ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი მომხმარებელთა უკეთ მომსახურებისათვის.

„უხამსობა იუმორის საფარით“

ჟურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგიამ განიხილა ჩვენი გაზეთის 10 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი შენიშვნა „უხამსობა იუმორის საფარით“. სარედაქციო კოლეგიას სწორად მიაჩნია გაზეთ „კომუნისტის“ მიერ ჟურნალ „ნიანგის“ მე-15 ნომერში მოთავსებული ფილეტონის — „ლევანის“ კრიტიკა. სარედაქციო კოლეგიამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი რედაქციის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ახალი ნაგებობანი

ჩხარი. (საკ. კორ.). სოფელ ღვანკითში შენდება ორსართულიანი კაპიტალური შენობა. ზედა სართულზე მოთავსდება სასოფლო საბჭოს აღმასკომი, საექიმო პუნქტი და სამკითხველო; ქვედა სართულში კი კოოპერაციული საავაჭრო და საწყობი. მშენებლობა გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს და წელს დასრულდება.

მოწინავე მუშებს ღრმად სწამდათ პროლეტარიატის ძალები და ეამოდათ. რომ მოიგარო რული მეფის თვითმპყრობელობის დამხობაში მუშათა კლასმა უმდა შეასრულოს. აქ მიზანშეწონილია მოვიყვანოთ გამოჩენილ მუშა-რევოლუციონერთა სიტყვები და დავსურათოთ მათი პოლიტიკური სახე, რისთვისაც ენდა გამოვიყენთ ვ. ი. ლენინის სტატია ივანე ვასილიძე ბაბუკანის შესახებ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 16, გამოც. მე-4, გვ. 331-334). მაგრამ მაინტერესებელი მუშათა მოძრაობა არაორგანიზებული დაქაოსური რჩებოდა. მას ნათელი მიზანი არ ჰქონდა.

შემდეგ პროპაგანდისტი განმარტავს ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ ლენინური სიტყვებს „რუსეთია მუშათა კლასის ოიტორიული როლის შესახებ:

„სოციალ-დემოკრატებიც მუშათა კლასისაკენ მიმართავენ მთელ თავიანთ ყურადღებასა და მთელ თავიანთ მოღვაწეობას. როდესაც ამ კლასის მოწინავე წარმომადგენლები შეითვისებენ მეცნიერული სოციალიზმის იდეებს, რუსი მუშის ისტორიული როლის იდეას, როდესაც ეს იდეები ფართოდ გავრცელდება და მუშებს შორის შეიქმნებიან მტკიცე ორგანიზაციები, რომლებიც მუშების დღევანდელ დაქაოსულ ეკონომიურ ომს გარდაქმნიან შეგნებულ კლასობრივ ბრძოლად, — მაშინ რუსი **მუშა** აღსდგება და სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტს, დაამხობს აბაოლუტიზმს და წმიყვნს **რუსეთის პროლეტარიატს (ყველა ქვეყნის** პროლეტარიატთან ერთად) აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით **ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისაკენ**“ (ლენინი. თხზ., ტ. 1., გამოც. მე-4, გვ. 355-356).

დასასრულ პროპაგანდისტი ლაპარაკობს რუსეთში პირველი მარქსისტული წრეების როლზე მარქსისა და ენგელსის მოძღვრების გავრცელებაში.

საუბარი თემის მეორე ნაწილის შესახებ საჭიროა დაიწყოს ამის გამორკვევით, თუ როგორ შეითვისეს მუშენელებმა კლასებისა და კლასთა ბრძოლის მარქსისტული თეორიის საფუძვლები. პროპაგანდიატი წინადადებას აძლევს მუშენელებს უამბონ, თუ როგორ ესმით კარლ მარქსის სიტყვები: „მუშათა კლასის განთავისუფლება მხოლოდ თვით მუშათა კლასის საქმეა...“. შემდეგ გარკვეულ უნდა იქნას შინაარსი ლოზუნგისა „პროლეტარიანო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!“ აქ შეიძლება მიეცემულ იქნას კითხვა: როგორ ხორციელდება მშრომელთა ერთიანი ფრონტი კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში? მუშენელები უამბობენ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებისათვის სსრ კავშირში სოციალიზმის მსოფლიოისტორიულ გამარჯვებებს, საბჭოთა არმიის მიერ ევროპის ხალხების განთავისუფლებას მიტუტლული ტირანიისაგან, სახალხო დემოკრატიის რეჟიმის გამარჯვებასა და განმტკიცებას ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, აგრეთვე მშრომელთა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებს შექმნას, როგორიცაა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, მომზე კომპარტიების განცხადებებს, რომ ისინი მზად არიან მთელი ლონისძიებებით გაუწიონ ხელმძღვანელობა ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მშვიდობის მომხრეთა მძლავრ საერთაშორისო მოძრაობას და სხვ.

მესამე კითხვა საუბარში შეიძლება დაყენებულ იქნას ასე: როგორი იყო მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯები რუსეთში? ამ კითხვაზე მიეცემული პაუხიდან პროპაგანდისტი გამოიტანს დასკვნას, თუ რამდენად გაიკეს მამენელებმა მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთებას ამოცანის მნიშვნელობა. ამ საკითხზე საუბრისას ლაპარაკი ჩამოვარდება კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა მოძრაობის მტრების, მემარჯვენე სოციალისტების და მათ შორის ინგლისელი ლეიბორისტების გამცემლურ როლზე, რომლებიც მშრომელი მაეებს შეგნებას აბნელებენ ყალბი დაპირებებით, რომ სოციალიზმის მიღწევა შეიძლება მშვიდობიანი გზით, ისე რომ კაპიტალისტური წყობილება რევოლუციის საშუალებით არ იქნას დამხობილი.

* * *

პროპაგანდისტის თხრობა თემის მესამე ნაწილზე ეწინარეა ყოველივა არის თხრობა ბოლშევიკების დიდი პარტიის შექმნაზე, მის გენიალურ ორგანიზატორებსა და ბელადებზე — ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინზე.

პროპაგანდისტი სარგებლობა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფიების მასალებით და გადაეშალა მსმენელთ პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადების ახალგაზრდობისა და მოქმედების სრული ერთიანობა ალმაფრთოვანებელ სურათის. ეს თანმიგბრობა ჩაისახა და იზრდებოდა ბოლშევიკური პარტიის შექმნისათვის, რუსეთში მარქსიტული თეორიის შემოქმედებითი განვითარებისა და გამოყენებისათვის ბრძოლაში.

პროპაგანდისტი მოუთხრობს, თუ როგორ შექმნა ლენინმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს პეტერბურგში ცალკეული მარქსისტული წრეებისაგან „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ და როგორ ჩაება ამავე წლებში ჯერ კიდევ ჭაბუკი ამხანაგი სტალინი რევოლუციურ მოძრაობაში.

ამხანაგმა სტალინმა თავიდანვე დაინახა ლენინის სახით ნამდვილი მარქსისტული პარტიის შემქმნელი, ბელადი და მასწავლებელი.

„ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის გაკონობამ 90-იანი წლების დამლევიდან, განსაკუთრებით კი 1901 წლის შემდეგ, „ისკრის“ გამოცემის შემდეგ. — ამბობს ამხანაგი სტალინი, — დამარწმუნა, რომ ლენინის სახით ჩვენ არაჩვეულებრივი ადამიანი გვყავს. ჩემს თვალში ის მაშინ პარტიის უბრალო ხელმძღვანელი რადა იყო, ის იყო მასი ფაქტიური შემქმნელი, ვინაიდან მხოლოდ მას ესმოდა ჩვენი პარტიის შინაგანი არსი და მასი გადაეფიბელი საჭიროებანი. როდესაც მას ჩვენი პარტიის დანარჩენ ხელმძღვანელებს ვადარებდი, ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ლენინს თანამბრძოლნი — პლეხანოვი, მარტოვი, აქსელროდი და სხვები — მთელი თავით დაბლა დგანან ლენინზე, რომ ლენინი მათთან შედარებით მარტო ერთ-ერთი ხელმძღვანელი კი არ არის, არამედ უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელი, მთის არწივი, ბრძოლაში უშიშარი და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის' უვალ გზებზე პარტიის გაბედულად წინ წამყვანი“ (ი. სტალინი. თხზ., ტ. 6, გვ. 63).

პროპაგანდიატის ნაამბობი მსმენელთა შეგნებაში განამტკიცებს ამ აზრს. რომ ამხანაგი სტალინი ბოლშევიკური პარტიის შექმნიდანვე მუდამ გამოდის როგორც ლენინის ერთგული მეგობარი და მეკავე თანამებრძოლი.

პროპაგანდისტი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ლენინისა და სტალინის მოღვაწეობა გადაეალა იმპერიალიზმის ეპოქაში. პროპაგანდისტმა მოკლედ (ბროშურის ტექსტის ფარგლებში) უნდა განმარტოს, რომ იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადია, როცა კაპიტალისტური სიტემის ყველა წინააღმდეგობა უკიდურესად გაბრწყვიდა და დადგა ომებისა და პროლეტარული რევოლუციების ხანა. შემდგომ მეცადინეობათა დროს მსმენელები უფრო ფართო კოდნას მიიღებენ იმპერიალიზმზე. აქვე საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მარქსისა და ენგელსის მოძღვრების დიდი განმგრძობების — ლენინისა და სტალინისათვის ეს გარემოება მოასწავებდა, რომ დადგა დრო დაერაზმათ მშრომელთა მასები კაპიტალისტურ წყობილებაზე იერიშის მისაბანად.

პროპაგანდისტი მამენელთა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ლენინიზმის კლასიკური განსაზღვრას, რაც მოცემულია ამხანაგ სტალინის მიერ: „ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარიული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი. უფრო ზუსტად: ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით“ (ი. სტალინი. თხზ., ტ. 6, გვ. 83).

ლენინმა და სტალინმა შეამუშავეს პროლეტარული რევოლუციის თეორია, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია. პროლეტარიატის დიქტატურა მამართულია ექსპლოატატორული კლასების განადგურებისაკენ, სოციალიზმის აშენებისაკენ; იგი ხორციელდება მუშათა და მშრომელ გლეხთა კავშირის ფორმით, ხოლო ხელმძღვანელი როლი ამ კავშირში მუშათა კლასს ეკუთვნის.

ამხანაგმა სტალინმა თავისი შრომებით გიგანტურად გაამდიდრა ლენინიზმი და უმაღლეს საფეხურზე აიყვანა იგი.

პროპაგანდისტი იწყებს ლაპარაკს ბოლშევიკური პარტიის შექმნაზე. იგი განუმარტავს მსმენელებს რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნის ლენინური გეგმის არსს. ამ გეგმის განხორციელება ედიდეს სიძნელეს წარმოადგენდა. პარტიის შენება ხდებოდა ცარიზმის მიერ სასტიკი დევნის, მუშათა მოძრაობაში მარქსიზმის მტრების წინააღმდეგ შეღრეგეული ბრძოლის პირობებში.

პროპაგანდისტი აღნიშნავს, რომ მებრძოლი მარქსისტული პარტიისათვის ბრძოლაში ლენინსა და სტალინს მოუხდათ მძაფრი იდეური ბრძოლის წარმოება იმ ადამიანებთან, რომლებმაც მარქსიზმს ეღალატეს, — ოპორტუნიატებთან, რომლებიც გამოდიოდნენ მუშათა კლასის ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის შექმნის წინააღმდეგ.

პროპაგანდისტი მოეთხრობა მსმენელებს ლენინური „ისკრის“ უდიდესი როლის „ეიაპის პარტიის შექმნის საქმეში, ცარიზმის მიერ ეასტეკი დევნის მიუხედავად, ოპორტუნისტთა ძირგამოთხრილი, გამბრწყინვალი მუშაობის წინააღმდეგ, „ისკრამ“ ერთ მთელად შეაკავშირა ცალკეული მარქსისტული წრეები და ორგანიზაციები, შეამეფავა პარტიის პროგრამა და წვადება და ეამზადა პარტიის მეორე ყრილობის მოწვევა. პარტიისათვის ბრძოლის ლენინურ გეგმას თანმიმდევრობით აზორციელებდა აგრეთვე ქართული არალეგალური გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც ამიერკავკასიაში შექმნა ამხანაგმა სტალინმა. „ისკრის“ შემდეგ ეს საუკეთესო მარქსისტული გაზეთი იყო რუსეთში.

რტის მეორე ყრილობაზე ორგანიზაციულ საკითხში ანარქიული უთანხმოების, ყრილობის ორ ჯგუფად — ბოლშევიკებად და მენშევიკებად გათიშვის ღრმა პრინციპული მნიშვნელობის განმარტებით პროპაგანდიატი მამენელებს უჩვენებს, რომ სწორედ ჩვენი დიდი ბელადებს ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინის მოღვაწეობამ დაუდო საფუძველი ბოლშევიკების პარტიას, მუშათა კლასის მებრძოლ რევოლუციურ პარტიას. ლენინმა და სტალინმა შექმნეს პარტია, რომელმაც შეძლო შეეკავშირებინა მშრომელთა მილიონიანი მასები და წაეყვანა ისინი მოიფლო-ისტორიული გამარჯვებებისაკენ.

შემდეგ პროპაგანდისტი გადადის რუსეთის პირველ რევოლუციაში ბოლშევიკების პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის საკითხებზე. აქ საჭიროა მსმენელებს განემარტოთ (ბროშურის ტექსტის ფარგლებში) განსხვავება პარტიის საბო

გამოხმაურება რაიკის და მის თანამონაწილეთა საქმეზე უნგრეთის სახელმწიფო პროკურატურის საბრალდებო აქტის გამო

საფრანგეთი

პარიზი, 12 სექტემბერი. (საკდესი). თითქმის ყველა კომენტატორი „ტიტის პროცესს“ უწოდებს უნგრეთის ყოფილი მინისტრის ლასლო რაიკისა და სხვა ბრალდებულთა პროცესს. ეტიენ ფაკონი „ლუმანიტეში“ ეხება საბრალდებო აქტს და ჩერდება შემდეგ ოთხ პუნქტზე: ჯერ-ერთი, რაიკი 1931 წლიდან ჰორტის პოლიციის, ხოლო შემდეგ გესტაპოს ჯაშუში იყო. მან დალუპა უნგრელი ხალხის ასობით საუკეთესო შვილი. მეორე, თავისი სამშობლოს მოღალატე რაიკი 1945 წლის შემდეგ ჯაშუშურ მუშაობას განაგრძობდა ამერიკის დაზვერვის ბრძანებებით. იგი ამერიკის ჯაშუშური სამსახურის აგენტებს სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ. ამერიკის დაზვერვის აგენტია ზოგიერთი მისი თანამონაწილეც. მათ აღიარეს, რომ ცნობებს აწვდიდნენ აგრეთვე საფრანგეთის მისიას ბუდაპეშტში. მესამე, რაიკი მოქმედებდა ტიტოს პირდაპირი ინსტრუქციებით. მისი საქმიანობა მიმართული იყო უნგრეთის მთავრობის ძალდატანებითი დამხობისა და ანტისაბჭოთა რეაქციული რეჟიმის აღდგენისაკენ. იგი ამზადებდა მატიას რაკოშისა და უნგრეთის მთავრობისა და მშრომელთა პარტიის სხვა ხელმძღვანელთა მოკვლას. მეოთხე, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საინფორმაციო ბიუროს რეზოლუცია იუგოსლავიის კომუნისტურ პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ, რაიკი, როგორც თვითონ აღიარებს, შეუერთდა ტიტოს პროვოკაციულ პროექტს უნგრეთში საჭირო მომენტში პროვოცირებული სასაზღვრო ინციდენტების შედეგად იუგოსლავიის შეიარაღებული ინტერვენციის შესახებ.

პარიზი, 12 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის გაზეთების მეტი წილი მოწონავე სტატიები მიძღვნილია ბუდაპეშტის პროცესისა და რაიკის საქმეზე საბრალდებო აქტის გამოქვეყნებისადმი. გაზეთი „ლუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბრალდებო აქტი მამხილებელი დოკუმენტია, და წერს: „უნგრეთის რესპუბლიკის სიფხიზლემ, მეტისმეტმა აჩქარებამ, რასაც შეთქმულთაგან მათი უცხოელი ბატონები მოითხოვდნენ, აგრეთვე მთელ ხალხზე დაყრდნობილი რეჟიმის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის სიძნელემ,—ყოველივე ამან ხელი შეუწყო ახალ უნგრეთის შეთქმულების გამოაშკარავებაში. იმ მომენტში, როცა საბრალდებო აქტი შუქსა ჰფენს რაიკის საზიზღარ დანაშაულობებს და ამ ბანდიტის აღიარებას, ჩვენ გვინდა მოვაგონოთ მკითხველთ, რომ პარიზის მარშალიზებული პრესა საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიისადმი სძულელვილის გამო ოდესღაც ქებადიდებას ასხამდა რაიკს“.

მთელი რიგი გაზეთები — „ფრან-ტირერი“, „ეპოკი“, — ცდილობენ სახელი გაუტეხონ მომავალ სასამართლო პროცესს რაიკის საქმეზე და ამით მფარველობა გაუწიონ რაიკსა და მის თანამონაწილეებს.

გულგარეთი

სოფია, 13 სექტემბერი. (საკდესი). ბულგარეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს საბრალდებო აქტი რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმეზე. გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“ შემდეგი სათაურებით აქვეყნებს საბრალდებო აქტის მასალებს: „რა ზრახვები ჰქონდა ტიტოს უნგრეთის წინააღმდეგ“. „ლასლო რაიკისა და მის ბელგრადელ ბატონთა დანაშაულობანი“.

გაზეთი „ნაროდნა მლადეჟი“ იმავე მასალებს აქვეყნებს სათაურით: „უნგრეთში სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების წინააღმდეგ იმპერიალისტური აგენტურის ჩაშლილი შეთქმულება“.

გაზეთი „ზემედელსკო ზნამე“ შემდეგ სათაურს უკეთებს საბრალდებო აქტს: „ტიტოელთა თანამშრომლობა ამერიკის ჯაშუშურ ცენტრთან“.

გაზეთი „იზგრევი“ წერს: „ტიტოელები ამერიკის დაზვერვასთან ერთად გადატრიალებას ამზადებდნენ უნგრეთში სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის დასამხობად“.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 13 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს მიტინგების შესახებ, რომლებიც გუშინ შედგა უნგრეთის საწარმოებში რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმეზე უნგრეთის სახელმწიფო პროკურატურის საბრალდებო აქტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

„რაიკსა და მის ბანდას,—განაცხადა ქარხანა „სტანდარტის“ მუშამ ბელა საბომ,—სურდათ შიგნიდან აეფეთქებინათ ჩვენი მშრომელი ხალხის უძვირფასესი განძი, ყოველი ჩვენგანის მშობელი დედა—ჩვენი პარტია; სურდათ დაეხოცათ ჩვენი ბელადები. არ არსებობს ისეთი მძიმე სასჯელი, რომლის ღირსიც ისინი არ იყვნენ“.

ჩვენ ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს, რომ ჩვენს პარტიაში აღარ შემოიპაროს რაიკისა და მის თანამონაწილეთა მსგავსი საზიზღარი ბრბო, თქვა ბელა ტიდიმ, ბუდაპეშტის საქალაქო ტრანსპორტის მუშაკმა.

მუშა იშტვან ჩეპრეგი ერრიდან გაზეთ „ნეპსავაზ“ რედაქციისათვის გაგზავნილ წერილში წერს, რომ მხოლოდ ახლა, საბრალდებო აქტის წაკითხვის შემდეგ, მისთვის ნათელი გახდა ბევრი რამ, რაც 1935 წელს მოხდა. მშენებელ მუშათა გაფიცვასთან დაკავშირებით ჩეპრეგი დაპატიმრეს მრავალ სხვა ამხანაგთან ერთად. დაკითხვის დროს ერთ-ერთმა გამომძიებელმა ჰკითხა მას: „შენ არ გინდა თქვა? გგონია ჩვენ არაფერი ვიცით? რაიკმა ყველაფერი გვიამბო“. მაშინ მე მეგონა, წერს ჩეპრეგი, რომ ეს უბრალო მეთოდი იყო, რომლითაც მათ სურდათ ჩემი გამოტეხა. მე არ მინდოდა მეთქვა ეს პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობისათვის ამიტომ, რომ ამის ფიქრსაც კი ვერ ვბედავდი. რომ ეს შეიძლებოდა სიმართლე ყოფილიყო. ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ რაიკი გაფიცვის ერთ-ერთი „ხელმძღვანელი“ იყო. ახლა ჩემთვის ბევრი რამ ნათელია. რაიკმა პოლიციას ჩაუგდო ხელში ბევრი მუშა.

ლითონის ნაწარმის ქარხანა „ელზეტის“ ახალგაზრდა მუშა ანდრაშ რიშკო წერს:

„უნგრეთის მუშათა კლასი არასოდეს არ დაუშვებს, რომ რაიკისტების მსგავსმა მკვლელთა საზიზღარმა ბანდამ დაეპირდაპიროს იგი საბჭოთა კავშირს, რომელსაც ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს თავისუფლებას [illegible] ამას. რომ შეგვიძლია მშვიდობიანად ეაშენ[illegible] ჩვენი ბედნიერი ცხოვრება, ვიაროთ წინ სოციალიზმისაკენ“.

უნგრეთის ყველა დღევანდელი გაზეთი მოწონავე სტატიას უძღვნის რაიკის ჯაშუშური ბანდის საქმეს.

„თავისთავად იგულისხმება, წერს გაზეთი „საბად ნეპი“, — ტიტოს გეგმა ბელგრადის მეთაურობით ანტისაბჭოთა „ფედერაციის“ შექმნის შესახებ წარმოიშვა არა ტიტოელთა თავში, არამედ დალესის და ჩერჩილის თავში, ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების თავში. იმპერიალისტები ამ „ფედერაციის“ დახმარებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს გაიხლეჩნენ კოლონიებად, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის პლაცდარმად. რაიკისა და მის თანამონაწილეთა შეთქმულების განადგურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი ის არის, რომ შუქი მოეფინა იმპერიალისტების სტრატეგიულ გეგმებსა და მეთოდებს, რომლებსაც ისინი იყენებენ რევოლუციური მუშათა პარტიების წინააღმდეგ, სოციალისტური მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, სახალხო დემოკრატიების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვინც გაბედავს ხელი აღმართოს ჩვენი სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენი დემოკრატიის მონაპოვართა წინააღმდეგ, ვინც გაბედავს ზურგში ჩასცეს ლახვარი სოციალიზმის მშენებლებს, ვისაც საზიზღარი სურვილი აქვს აგვაშლაროს ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ყველაზე სამეფო დასაყრდენნს, ჩვენი მშვიდობისა და შემოქმედებითი შრომის მთავარი დამცველის, მეგობარი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, იგი სასტიკად დაისჯება. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობდეს ხალხის ფაშისტ მოღალატეთა, ბანდიტთა მეხუთე კოლონა, რომლებსაც განზრახული აქვთ ჩვენი ხალხის ბელადების დახოცვა. სამშობლოს მოღალატეები, საზიზღარი მკვლელები საკადრის სასჯელს მიიღებენ.

ჩვენ ახლა უფრო ფხიზლად დავიცავთ ჩვენს თავისუფლებას. ჩვენი სახელმწიფო, მშობლიური რესპუბლიკა, მთავრობა რომ განვამტკიცოთ, ამისათვის უფრო მჭიდროდ დავიროაზმებით, უფრო განვამტკიცებთ ჩვენი პარტიისა და ხალხის ერთიანობას, უფრო თავდადებით ვიბრძოლებთ სძძელეების წინააღმდეგ, უფრო შეუპოვრად ვაშენებთ სოციალიზმს. ჩვენი მომავალის, ჩვენი შემოქმედებითი შრომის, ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცავად ულმობლად გავანადგურებთ იმპერიალიზმის აგენტებს!“.

„ვინც შეეცდება უკუღმა დაატრიალოს ისტორიის ჩარხი,—წერს გაზეთი „ნეპსავა“,—ის განწირულია დასაღუპავად. ისტორია განაჩენს გამოუტანს იმათაც, ვინც რაიკ-სენინის ბანდის დახმარებით ხელყოფდა ჩვენი ხალხის მშვიდობასა და ბედნიერებას. ისტორია განაჩენს გამოუტანს ტიტოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ბანდას და მათს ბატონებს — იმპერიალისტებს“.

„უნგრეთის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, დემოკრატიის ერთგული უბრალო ადამიანები,—წერს გაზეთი „საბად სო“,—მხურვალე და დიდი სიყვარულით უფრო მჭიდროდ ირაზმებიან უნგრეთის მშრომელთა პარტიისა და მატიას რაკოშის გარშემო, ჩვენი სახალხო დემოკრატიის მთავრობის გარშემო. ჩვენ გაკვეთილად გამოვიყენებთ იმპერიალიზმის მხრივ ახალ ხელყოფას და ვიძლევით მტკიცე პირობას მოვსპოთ ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტრები.

ჩვენ ძალღონეს არ დაეზოგავთ სოციალიზმის მშენებლობისათვის. ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს სიფრთხე, რომელსაც დალუპვის გზაზე მდგომი იმპერიალიზმი ჯერ კიდევ წარმოადგენს სოციალიზმისა და მშვიდობის ბანაკისათვის. ჩვენ დავაჩქარებთ შემოქმედებითს მუშაობას, არავის მოვადუნებინებთ ჩვენს საბრძოლო სულისკვეთებას, დაუნდობელ ბრძოლას გავაჩაღებთ ოპორტუნისტების წინააღმდეგ. მთელ ძალღონეს მოვახმართ ჩვენი ხალხის ხელისუფლების დაცვას“.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 13 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა ინგლის-ამერიკის ჯაშუშისა და ტიტოს აგენტ რაიკის და მის თანამონაწილეთა საქმის გამო შედგენილი საბრალდებო აქტის დაწვრილებითი შინაარსი.

გაზეთმა „რუდე პრავომ“ საბრალდებო აქტის დაწვრილებით შინაარსს წაუმძღვარა სათაური „რაიკი ტიტოელ ფაშისტებთან შეკავშირებული ამზადებდა უნგრეთში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამხობას“.

გაზეთი „ობრანა ლიდუ“ სათაურებსა და ქვესათაურებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტიტოელები და ამერიკელი შეთქმულები რაიკისა და თავიანთი აგენტურის დახმარებით ცდილობდნენ სახელმწიფო გადატრიალება მოემზადებინათ უნგრეთში.

ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს ორგანო გაზეთი „პრაცა“ აქვეყნებს საბრალდებო აქტის დაწვრილებითს შინაარსს და აღნიშნავს, რომ მომავალი პროცესი რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმეზე გამოაშკარავებს საერთაშორისო რეაქციის ვერაგულ გეგმებს, რეაქციისა, რომელიც არავითარ საშუალებას არ თაკილობს, ოღონდ ძალაუფლება შეინარჩუნოს.

რუმინეთი

ბუქარესტი, 13 სექტემბერი. (საკდესი). რუმინეთის გაზეთებმა შემდეგი სათაურებით გამოაქვეყნეს საბრალდებო აქტი ლასლო რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმეზე:

„სკინტეიმ“ — „რაიკი და მისი თანამონაწილენი ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებისა და ბელგრადის ფაშისტური ბანდის კონტრრევოლუციურ აგენტურას ქმნიდნენ უნგრეთში“. „ბიაცა კაპიტალეიმ“ — „დამნაშავეთა ბანდა ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებსა და ტიტოელ ფაშისტებს ემსახურებოდა“.

ინგლისი

ლონდონი, 12 სექტემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიომ გადასცა რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმის საბრალდებო აქტის მოკლე შინაარსი.

სხვა ცნობაში ლონდონის რადიო ცდილობს გაამართლოს რაიკი და მისი თანამონაწილენი და ყალბად გააშუქოს უნგრელი ხალხის მოღალატეთა მომავალი პროცესი.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის რადიო, იუწყება რა, რომ ამერიკის პრესამ თავის ფურცლებზე მოიყვანა დეპეშები უნგრეთის სახელმწიფო დამნაშავე რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმის შესახებ, მფარველობს რაიკს.

ნიუ-იორკის რადიო ყოველად უხეშად ცდილობს უარყოს რაიკის მუშაობა ამერიკის ჯაშუშურ სამსახურში.

ბერლინის ოთხი კომენდანტის საკონსულტაციო თათბირი

ბერლინი, 13 სექტემბერი. (საკდესი). 12 სექტემბერს საკონტროლო საბჭოს შენობაში შედგა ბერლინის ოთხი კომენდანტის საკონსულტაციო თათბირი. თათბირში, რომელიც გენერალ-მაიორ ბორნის (ინგლისი) თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, მონაწილეობდნენ: პოლკოვნიკი ელიზაროვი (სსრ კავშირი), გენერალ-მაიორი ტეილორი (ამერიკის შეერთებული შტატები) და დივიზიის გენერალი განევალი (საფრანგეთი).

თათბირზე განხილულ და მიღებულ იქნა საბჭოთა დელეგაციის წინადადება გერმანული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ იმ საკითხთა გადაჭრაში, რომლებიც ბერლინის ცხოვრების ნორმალიზაციას ეხება. ამ გადაწყვეტილების თანახმად კომენდანტები რჩევას აძლევენ ბერლინის აღმოსავლეთი და დასავლეთი სექტორების გერმანელ წარმომადგენლებსა და გერმანულ ორგანოებს კონტაქტი დამყარონ იმ საკითხებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქალაქის ცხოვრების ნორმალიზაციისათვის.

აღმოსავლეთი და დასავლეთი ბერლინის გერმანელი წარმომადგენლები და ექსპერტები ერთმანეთს შეხვდებიან საერთო-საქალაქო საკითხთა განხილვისათვის. კომენდანტების რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

ამ გადაწყვეტილების მიხედვით, კომენდანტებმა ბერლინის აღმოსავლეთი და დასავლეთი სექტორების სათანადო გერმანელ წარმომადგენლებს ურჩიეს კონტაქტი დამყარონ ქალაქის ცხოვრების ნორმალიზაციისა და, კერძოდ, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ წინათ შეტანილი, საბჭოთა წინადადებების განსახილველად იმ მიზნით, რომ ამ წინადადებათა მიხედვით მიღებული იქნას ერთობლივი ლონისძიებანი. კომენდანტებმა გადაწყვიტეს აგრეთვე გერმანელ ექსპერტებს განსახილველად გადასცენ ამერიკელი და ფრანგი კომენდანტების წინადადებანი ბერლინში ტელეგრაფითა და ტელეფონით სარგებლობისათვის ანგარიშსწორების მოწესრიგების შესახებ. გერმანელმა ექსპერტებმა კომენდანტებს უნდა წარუდგინონ ხოლმე რეკომენდაციები ამ საკითხებზე.

კომენდანტებმა მიაღწიეს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ კანონიერად იქნას ცნობილი აღმოსავლეთი ზონისა და ბერლინის აღმოსავლეთი სექტორის საფოსტო მარკები დასავლეთ სექტორებში და ბერლინის დასავლეთ სექტორების საფოსტო მარკები აღმოსავლეთ სექტორში და აღმოსავლეთ ზონაში. ამ შეთანხმების შესაბამისად ა. წ. 16 სექტემბრიდან უქმდება საფოსტო კორესპონდენციის დამატებითი საზღაურის გადახდა მოსახლეობის მიერ.

ამ საკითხზე მიღწეული შეთანხმების ტექსტი ცალკე გამოქვეყნდება.

საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია ალბანეთს გაემგზავრა

14 სექტემბერს ტირანას გაფრინდა საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია ამხ. ნ. ა. მიხაილოვის მეთაურობით.

დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ალბანეთის ახალგაზრდობის გმაერთიანებელი ყრილობის მუშაობაში. (საკდესი).

მდგომარეობა ინდონეზიაში

ჯაკარტა, 14 სექტემბერი. (საკდესი). ბატავიიდან (ყუნძული იავა) მიღებული ცნობების თანახმად, ბატავიაში გამომავალი ინდონეზიური და ჩინური გაზეთები უდიდეს აღფოთებას გამოსთქვამენ იმ ტერორის გამო, რასაც ინდონეზიაში ჰოლანდიის ჯარები მიმართავენ. როგორც უკვე ვიუწყებოდით, უკანასკნელ ხანს იავის ბევრ ადგილას ჰოლანდიელებმა დიდი რაოდენობით დაბერტეს მშვიდობიანი მოქალაქეები, რომელთა შორის იყვნენ ქალები და ბავშვებიც.

ხატას მთავრობის ინფორმაციის მინისტრმა შამსუდინმა განაცხადა, რომ ჰოლანდიის საოკუპაციო ბანაკებსა და საპყრობილეებში დღემდე კვლავ იტანჯება 22.000-ზე მეტი ინდონეზიელი პატრიოტი.

ჰოლანდიის გაზეთები დღეს იუწყებიან, რომ ჰოლანდიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა პაულ დე გროოტმა პარლამენტში შეიტანა შეკითხვა სურაკარტაში, ჩილაჩაპაში და სხვა ადგილებში ჰოლანდიელ ოფიცერთა მიერ ჩადენილი სისხლისმღვრელი მხეცობის გამო.

„სიცოცხლის, თავისუფლების, მშვიდობისა და სამართლიანობისათვის!“

პალმირო ტოლიატის გამოსვლა

რომი, 13 სექტემბერი. (საკდესი). ქალაქ ტერნიში 11 სექტემბერს გამართულ მიტინგზე, რომელსაც დაესწრო 50 ათასი მონაწილე სახალხო დღესასწაულისა, რასაც „კომუნისტური პრესის ერთთვიურთან“ დაკავშირებით მთელ იტალიაში აწყობს კომპარტია გაზეთ „უნიტას“ პატივსაცემად, გამოვიდა პალმირო ტოლიატი.

შეაჯამა რა 1948 წლის 18 აპრილის არჩევნების შემდეგ მომხდარი ამბების შედეგები, ტოლიატიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ პერიოდში მშრომელთა და მათი ავანგარდის — კომპარტიის წინააღმდეგ გაჩაღებულმა ცილისწამებისა და პროვოკაციების კამპანიამ, რაც დღემდე არა წყდება, „უკან ვერ დაახევინა ხალხის ძალებს და ვერ შეაფერხა მათი წინსვლა“. „დღეს—თქვა ტოლიატიმ, — კომპარტიის წინააღმდეგ შეკრულს და დე გასპერის რეაქციულ ლაშქრობის დაწყებამდე ერთი წლის შემდეგ, კომპარტიის რიგებში 100-200 ათასი კაცით მეტი ირიცხება, ვიდრე „ბრშან“. ჩვენი ქვეყნის ახლანდელ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, თქვა შემდეგ ტოლიატიმ, შეიძლება უდიდესი საფრთხე მოჰყვეს მშრომელების, საშუალო ფენებისა და იტალიელთა დიდი უმრავლესობისათვის, რომლებიც მზარდი შეშფოთებით შეჰყურებენ მომავალს, გრძნობენ რა კურსის შეცვლის აუცილებლობას.

ძლიერდება საფრთხე ეკონომიური კრიზისისა, რომელიც შეერთებული შტატებიდან ევროპაში ვრცელდება. იტალიაში ამ კრიზისის ნიშანია მზარდი უმუშევრობა, დათხოვნა, რითაც მეწარმეები იმუქრებიან, წარმოების შეკვეცა, სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასების დაცემა. იტალიელ მოქალაქეთა ფართო მასები უკვე გრძნობენ ამ კრიზისის შედეგებს თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში: საკმარისი არ არის ელექტროენერგია და წყალი, პურის ფასი კვლავ მაღალია, მიუხედავად საბითუმო ფასების დაცემისა.

საერთაშორისო ასპარეზზე იტალიის ახლანდელი მმართველები აცხადებენ, რომ ისინი ყოველთვის და ყველაფერში ეთანხმებიან ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას, ე. ი. პოლიტიკას, რომელმაც იტალიის ყოფილი კოლონიები მისცა ინგლისს, ხოლო ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის „ბ“ ზონა—გამცემ ტიტოს, ეთანხმებიან პოლიტიკას, რომელიც ცდილობს გააუფასუროს ჩვენი ვალუტა, სურ:თის დირექტორი ს. კვარაცხელია, როლებში: ნინო (ვ. ანჯაფარიძე), ეთერი (თ. ჭიკვინაძე), ზურაბი (შ. ღამბაშიძე), ბიძინა (თ. ხელაშვილი), სერაფიონ (ა. ჟორჟოლიანი), ვასასი (ც. წუწუნავა), ერემო (ვ. შავგულიძე), აფრასიონი (ა. კვანტალიანი). ასპათი (ნ. ჩხეიძე), მარგალიტა (ნ. მაღალაშვილი), ჩიტოლია (თ. ღამბაშიძე), მარინე კოროლიოვა (ე. ზვერევა), ხაფიჩია (ვ. ნინუა), სევერიანე (ი. გვინჩიძე), ჟუჟუნა (მ. ჩახავა), ელენე (თ. ცოცაშვილი), ჭიკეკო (შ. ჩხიკვაძე), პაპუტია (ვ. ძაგნიძე).

თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის 1949 წლის ნაწარმოები „გლავკინოპროკატის“ გამოშვება

ახალი წიგნები

⊙ **დ. ლოგინოვი.** [illegible] ქიმიის დიდმატიკა. საქართველოს სსრ პიონერთა მეცნიერებათა [illegible] 1949 წ., ტირაჟი 2.000 ცალი, გვერდი 138, ფასი 8 მანეთი.

⊙ **ბ. ი. ივანოვი.** ქვეყნის ნაწილების გეოგრაფია. VI კლასის სახელმძღვანელო, სახელგამი 1949 წ., ტირაჟი 39.500 ცალი, გვერდი 210, ფასი 6 მანეთი.

⊙ **ი. მ. ხოხლოვი და ს. ი. ჩოჩია.** ახალი ფართობების ათვისების მექანიზაცია. გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, 1949 წ., ტირაჟი 3.000 ცალი. ფასი 3 მანეთი.

⊙ **ნ. მ. ბიუნცლერი და რ. ო. კუზმინი.** უმაღლესი მათემატიკის ამოცანათა კრებული. ტომი III, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1949 წ., ტირაჟი 2.000 ცალი, გვერდი 372, ფასი 8 მანეთი.

ჟურნალი „ბოლშევიკი“ № 8

გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „ბოლშევიკი“ № 8. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: მოწონაეი—სსრ კავშირი მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის მებრძოლთა ავანგარდში; დ. ლაშქარაძე—ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეხუთე ტომი; ვ. მგალობლიშვილი—დიდი რუსი მწერალი-რევოლუციონერი; კ. ჯიბინაძე — მიღებული დადგენილებათა შესრულების შემოწმებისათვის; მ. ციხისთავი—უნარიანად შევახმოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო საქმიანობასთან; გ. ყორეიკაშვილი—იდეოლოგიური მუშაობა ინტელიგენციასთან; კ. ლომაძე—გარდუდვალი კრიზისის წინაშე; კ. გოგიბავა — ნარკვევები საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური შრომის გმირებზე; გ. მეგრელიშვილი — ლპობადი ამერიკული კაპიტალიზმი და მისი გახრწნილი კულტურა.

სოხუმის თეატრი ახალ სეზონში

სოხუმის სახელმწიფო ქართული დრამატიული თეატრი ემზადება 1949-50 წლის სეზონისათვის.

თეატრი ახალ სეზონში მაყურებლს უჩვენებს უილიამ შექსპირის კლასიკურ კომედიას —„დედი აურზაური არაფრისათვის“, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“, მ. გორკის „მტრებს“, სტალინური პრემიის ლაურეატის ბ. ლავრენევის ახალ პიესას — „ამერიკის ხმა“, გ. მდივნის „ვარდოს“, ვლადიმერ კარსანიძის „მარად მშვენე ქედებს“, თინა დონეაშვილის „გამარჯვებულთა ღიმილს“, შ. გაბისკირიას „სამ მეგობარს“, სტალინური პრემიის ლაურეატის გ. გულიას „მებადურებს“, სტალინური პრემიის ლაურეატის ს. შანშიაშვილის „ხეკისბერ გოჩას“ და სხვ.

განახლებულ იქნება აგრეთვე მთელი რიგი დადგმები გასული თეატრალური სეზონიდან.

სანაკულტურის თეატრი

სანკულტურის თეატრი სეზონს ხსნის შაბათს, 17 სექტემბერს. ნაჩვენები იქნება ნ. ანანიაშვილის პიესა „მესხეთის მიწაზე“.

პიესის დადგმა ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტს ვ. ა. ნინიძეს.

შემდეგ თეატრი მაყურებელს უჩვენებს ჭ. ბაფავას „ლილის“. წლის ბოლოამდე თეატრი განახორციელებს კიდევ სამ ახალ დადგმას.

წიგნზე ხელისმომწერთა საყურადღებოდ

„საქწიგნის“ ხელისმოწერისა და გავრცელების განყოფილებამ მიიღო ხელისმომწერთათვის დასარიგებლად შემდეგი წიგნები: ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 ტომი (ქართულ ენაზე) და 24-ე ტომი (რუსულ ენაზე), ა. ს. პუშკინის თხზულებათა კრებულის (10-ტომეულის) მე-2 და მე-3 ტომი და (6-ტომეულის) მე-2 ტომი, ალ. ტოლსტოის თხზულებათა სრული კრებულის მე-10 ტომი, ნ. შჩედრინის რჩეულ თხზულებათა მე-5 ტომი, მ. გორკის თხზულებათა კრებულის მე-11 ტომი, ტ. შევჩენკოს — მე-5 ტომი, ა. სერაფიმოვიჩის — მე-9 ტომი, ვ. შექსპირის — მე-7 ტომი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

„გლავკინოპროკატის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორა ამ დღეებში თბილისის კინოთეატრებში გამოუშვებს ახალ მხატვრულ ფილმს

„ბედნიერი შეხვედრა“



სცენარის ავტორი ვლ. კარსანიძე, დადგმა ნ. სანიშვილისა, ოპერატორი დ. კანდელაკი, რეჟისორები: კ. გძელიშვილი და ა. ლორთქიფანიძე, კომპოზიტორი ა. კერესელიძე, მხატვრები: ნ. ჭურდიანი, ქ. ლებანიძე, ხმის ოპერატორი რ. კეზელი, კომბინირებულ გადაღებათა ოპერატორი ბ. ბურავლიოვი, მონტაჟორი ვ. დოლენკო, სურ:თის დირექტორი ს. კვარაცხელია, როლებში: ნინო (ვ. ანჯაფარიძე), ეთერი (თ. ჭიკვინაძე), ზურაბი (შ. ღამბაშიძე), ბიძინა (თ. ხელაშვილი), სერაფიონ (ა. ჟორჟოლიანი), ვასასი (ც. წუწუნავა), ერემო (ვ. შავგულიძე), აფრასიონი (ა. კვანტალიანი). ასპათი (ნ. ჩხეიძე), მარგალიტა (ნ. მაღალაშვილი), ჩიტოლია (თ. ღამბაშიძე), მარინე კოროლიოვა (ე. ზვერევა), ხაფიჩია (ვ. ნინუა), სევერიანე (ი. გვინჩიძე), ჟუჟუნა (მ. ჩახავა), ელენე (თ. ცოცაშვილი), ჭიკეკო (შ. ჩხიკვაძე), პაპუტია (ვ. ძაგნიძე).

მშობლები კესა, მათე, მეუღლე ოისეს, შვილები ეზა, ანანა, ძმები სევერიანე, ვალოდია, ალისტრო ოჯახებით, დები კალენტინა, ლუბა, ქეთო, პატკუ, შუშანა, საშა, ქეთო ოჯახებით, სიძე ვალიკო ფხალაძე იუწყებიან, რომ 18-IX, 4 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **მარო ხუხუნაიშვილი-ოსეფაიშვილის** პანაშვიდი.

და მატრონა, სიძე ხარატონ, დისშულები ეკო, პოლმირო და ემილი ჯორჯიკიანები ოჯახით იუწყებიან **გრიშა გრიგოლის-ძე ცხომარიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-IX სოხუმში .

მეუღლე თამარ, შვილები ნუნუ, გიორგი, რძალი კატო, შვილიშვილები დავით, ეთერ გიორგობიანები, სიძე ვალერ, გოგია იუწყებიან **იაკობ ზაქარიას-ძე გიორგობიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-IX, 8 ს. გამოსვენება 18-IX, 5 ს. აუზის, 37.

ელენე გობეჩია-დიდებულიძე, გიგუცა, თეიმურაზ, ჯანიკო და გულნარა დიდებულიძეები და ვასასი ჩიტაძე იუწყებიან, რომ 18-IX, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ვერა ბესარიონის ასულ გობეჩიას** პანაშვიდი.

დედა კალისტინა მიქიაშვილი-ბაქრაძე იუწყება, რომ 18-IX, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ვაჟა ნიკოლოზის-ძე ბაქრაძის** პანაშვიდი.

ვასილ და დავით ქებაძეები, მარიამ გეპნერი ოჯახებით, ანა და ილია ფალიანები იუწყებიან ძმისწულის **ლუბა გიორგის ასულ ქებაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-IX, 7 ს. გამოსვენება 18-IX, 2 ს. ჩიაკოვსკის, 12.

შვილები ლევან, აკაკი, მარგალიტა, სოფიო, რძლები ჩატენა, შურა, სიძე დავით, შვილიშვილები რევაზ, ჯემალ, მურად, ია, თინათინ, ლამარა იუწყებიან **მარიამ ალექსის ასულ მაცაბერიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-IX, 7 ს. გამოსვენება 18-IX, 5 ს. ჩოდრიშვილის, 6.

საქართველოს ლუდისა და ლიმონათის ტრესტის თანამშრომლები იუწყებიან მანია კირაკოზოვის დედის **ანა ზაქარიას ასულ კირაკოზოვის** გარდაცვალებას.

სიმონ ჭელიძე, მიხეილ კეკელიძე და სიმონ სხირტლაძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი შატბერაშვილს მისი მამის **ივანე რომანოზის-ძე შატბერაშვილის** გარდაცვალების გამო.

ლ. ბარამიძე, გ. კანდელაკი, ლ. ლუკავა, ლ. მამაცაშვილი, ლ. სადრაძე, ლ. კაკუშაძე, ა. ფრუიძე, დ. ქვარიანი თანაგრძნობას უცხადებენ ლ. გოდაბრელიძეს მისი დედის **ლუბა გიორგის ასულ გოდაბრელიძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ქსენია, დედა